საერთო გაზეთი

№21 (843)
ოთხშაბათი
10 ივნისი,
2026 წ.
ფასი 2 ლ.



ჩვენი გაზეთის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტში:
WWW.SAERTOGAZETI.COM

ევროკავშირს რომ დემოკრატია ფეხზე ჰკიდია, ნათლად ჩანს უკრაინისა და მოლდოვის მაგალითზე

დღეს გადავწყვიტე, სისტემურად, ფაქტებით მეჩვენებინა საზოგადოებისთვის ის, რაც არის რეალობა. ეს ბრიფინგი ჩემი ინიციატივით ჩავატარე. ბატონი ბიძინა ივანიშვილი მოისმენს იმ ბრიფინგს, რომელიც დღეს ჩავატარე. ეს იყო ჩემი ინიციატივა. როგორც მთავრობის მეთაურმა საზოგადოების წინაშე თავი ჩავთვალე ვალდებულად, რომ განმემარტა მმართველობის ის მოდელი, რომელიც დღეს მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში. საზოგადოებას მკაფიოდ განვუმარტე ის, რომ საქართველოში პროცესები იმართება კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად. ასევე საზოგადოებას განვუმარტე ბატონი ბიძინა ივანიშვილის როლი, რომელიც არის მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარე და მმართველი პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი, რომლის რჩევებსაც მთელი გუნდისთვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მან ამ წლებით აჩვენა გუნდსაც და მთლიანად ქვეყანასაც, რომ მის რჩევას აქვს განსაკუთრებული ფასი და სწორედ მისი პირადი კომპეტენციის შედეგია ის, რაც საქართველოს აქვს დღეს. ეს არის უწყვეტი მშვიდობა 14-წლიანი უწყვეტი მშვიდობა, რამაც ქვეყანას განვითარების საშუალება მისცა. ის, რომ დღეს დემოკრატიაა ქვეყანაში და ის, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები არის დაცული. გახსოვთ, რა ვითარება იყო 2012 წლამდე. ესეც არის პირადად მისი დამსახურება. სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ესეც არის მისი განსაკუთრებული კომპეტენციის დამსახურება.

●

ჩვენ ვინარჩუნებთ ოპტიმიზმს იმასთან დაკავშირებით, რომ სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსა და აშშ-ს შორის განახლდება. ჯო უილსონი არის არასერიოზული კაცი. ჯო უილსონზე მე დროს საერთოდ არ დავხარჯავდი. ჯო უილსონი არის არასერიოზული კაცი, რომელიც საქართველოს უწოდებს პროირანულს, პროჩინურს, პრორუსულს ხომ ადრე ეძახდა და ახლა პროირანული გავხდით, შეიძლება, ასეთი კაცი სერიოზულად მიიჩნიოს ვინმემ? რომელიც გამოდის და საქართველოს უწოდებს პროირანულ ქვეყანას. არასერიოზული კაცია. კაცი, რომელიც გამოდის და ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება არის პროირანული, რამდენად არასერიოზულია, ხომ ხედავთ. ასეთი არასერიოზული განცხადების გამკეთებელი კაცი როგორ შეიძლება, ვინმემ სერიოზულად მიიჩნიოს. ხვალ გამოვა და იტყვის, რომ პროკამბოჯური ხელისუფლება ვართ. საოცრებაა. ასეთი არასერიოზული მე არაფერი მინახავს და თქვენ შეგიძლიათ, ხშირად იმეოროთ ჯო უილსონის არასერიოზული ციტატები.

●

რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციის საკითხს, როდესაც ქართველ ხალხს ემუქრებიან ვიზალიბერალიზაციის გაუქმებით ირიბად, ადგილობრივი აგენტურის მეშვეობით, ეს მეტყველებს იმ მძიმე მდგომარეობაზე, რაც არის მთლიანობაში შექმნილი ერთი მხრივ, ევროპულ ბიუროკრატიაში, მეორე მხრივ, ადგილობრივ აგენტურაში. მძიმე ვითარებაა ისინი ხალხზე ზეწოლით და მუქარით ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწევენ, რადგან ქართული საზოგადოება საკმარისად გათვითცნობიერდა იმ პროცესებში, რაც დღეს წარმოებს ჩვენს გარშემო, აქედან გამომდინარე, შანტაჟი ვერ გაჭრის.

●

ჩვენ მუდმივად ვაკვირდებით სტატისტიკას და იმას, რა გავლენას ახდენს ჯარიმების ზრდა სტატისტიკის გაუმჯობესებაზე. ჩვენ დავაკვირდით გასული დაახლოებით ერთი წლის მონაცემებს და ვნახეთ, რომ პირდაპირი კორელაცია გაზრდილ ჯარიმებსა და შემცირებულ სტატისტიკას შორის, სამწუხაროდ, არ არის. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმები ტვირთად აწვება მოსახლეობას, აბსოლუტურად შეგვიძლია, განვიხილოთ ასეთი ვერსია, ჯარიმების შემცირებასთან დაკავშირებით. ამაზე უნდა ვიმუშაოთ საქართველოს პარლამენტთან ერთად.

●

ეს არის ის ძალა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ გლობალურ ომის პარტიას, ამერიკაში მას უწოდებენ „დიფ სთეითს“, სხვა სახელწოდებებიც შეიძლება, ჰქონდეთ. ეს არის გლობალური ძალა. ევროპული ბიუროკრატია მოქმედებს ამ არაფორმალური გავლენების ქვეშ. ასე მოქმედებდა წინა ამერიკული ადმინისტრაციაც. იმედი გვაქვს, რომ ახალი ადმინისტრაცია მთლიანად გათავისუფლდება ე.წ. დიფ სთეითის გავლენებისგან. სამწუხაროდ, ასეთია დღეს რეალობა. ეს არ არის ახალი მოვლენა. უკვე 2012 წლამდეც კი და 2012 წლიდან გამუდმებით უწევდა ჩვენს პოლიტიკურ გუნდს ამ გამოწვევებთან გამკლავება. 2012 წლიდან მოყოლებული, თქვენ გახსოვთ, რომ არ ნელდებოდა დეზინფორმაციის კამპანია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს არ დაწყებულა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, გამუდმებით ჩვენ გვიწევდა ბრძოლა დეზინფორმაციის წინააღმდეგ. ეს იყო აბსოლუტურად კოორდინირებული ძალისხმევა, რომლის სათავეშიც დგას ისევ და ისევ ის ძალა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ გლობალურ ომის პარტიას. ეს არის ის პარტია, რომლის კარნახითაც გაჩაღდა არაერთი ძალიან მასშტაბური ომი მსოფლიოს მასშტაბით.

●

ევროპული ბიუროკრატია თავიდან ბოლომდე მოქმედებს სწორედ არაფორმალური ძალის გავლენის ქვეშ და ამის შედეგია ის ტენდენციები, რასაც ვხედავთ ჩვენ ევროპის მასშტაბით. მათ შორის ეკონომიკაში. ევროკავშირის ეკონომიკის წილი მსოფლიო ეკონომიკაში 2008 წელს იყო 30 პროცენტი, ახლა არის 17,5 პროცენტი. რომ არა არაფორმალური გავლენები, რომ არა სუვერენიტეტის დაკარგვა იმ სივრცეში, რასაც ჰქვია ევროკავშირი, ასეთი მძიმე ეკონომიკური ტენდენციები არ იქნებოდა. იცით, როგორ იდეოლოგიასაც ავრცელებენ კონკრეტული ძალები, ე.წ. ლიბერალურ იდეოლოგიას, რითაც ისინი ცდილობენ, ქვეყნებს დააკარგვინონ რელიგიური იდენტობა, ეთნიკური იდენტობა, ადამიანებს აკარგვინებენ პიროვნულ იდენტობას. ეს არის ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი და აქაც ვხედავთ სრულ კოორდინაციას და იგივე ძალები უპირისპირდებიან ჩვენს პოლიტიკურ გუნდს 2012 წლიდან და კიდევ უფრო გამძაფრდა ეს დაპირისპირება უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, როდესაც კონკრეტულ ძალას, გლობალური ომის პარტიას ჰქონდა პირდაპირი ინტერესი, საქართველო ჩართულიყო ომში და საქართველოში გახსნილი მეორე ფრონტი. ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ ზეწოლის, შანტაჟის პირდაპირ მცდელობებს, თუმცა ხედავთ, რომ მიზანს ვერ აღწევენ და ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ჩვენ ბოლომდე ვიცავთ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ამაშიც წამყვანი როლი აქვს ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

ევროკავშირს რომ დემოკრატია ფეხზე ჰკიდია, უხეშად ვიტყვი, ხომ ჩანს უკრაინის და მოლდოვის და ბევრ სხვა მაგალითზე, ეს ხომ ჩანს 2004-2012 წლების საქართველოს მაგალითზე, როცა პატიმრებს პირდაპირ აწამებდნენ და სხვა სიტყვებს აღარ ვიტყვი, რასაც აკეთებდნენ, ხო ფეხზე ეკიდა ევროკავშირს მაშინ დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ხო ყველაფერი ფეხზე ეკიდა, მწვანე შუქი ჰქონდათ ანთებული ყველაფერზე. იგივეს აკეთებენ ახლა სხვა ქვეყნებში, სადაც მწვანე შუქს უნთებენ და კანდიდატის სტატუსს უხსნიან და მოლაპარაკებებს ანიჭებენ ქვეყნებს, სადაც ხდება ის, რაც ხდებოდა 2004-2012 წლების საქართველოში.

●

პოლიტიკური პარტიების აკრძალვა - ჩვენთან დაკავშირებით იცით, რომ მთელი აჟიტაჟია შექმნილი, როგორ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანო სარჩელი პოლიტიკური პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით. თქვენ იცით, რა ვითარებაა ამ კუთხით, როგორც მოლდოვაში, ისე უკრაინაში, სადაც პირდაპირ, უკრაინაში აიკრძალა 11 პოლიტიკური პარტია და ამასთან დაკავშირებით არავითარი კრიტიკა არ ყოფილა. მოლდოვაში აიკრძალა ერთ-ერთი უმსხვილესი ოპოზიციური გაერთიანება 2023 წელს, 2 პარტიას უშუალოდ საპარლამენტო არჩევნების წინ, 2025 წელს აუკრძალეს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა. არავითარი რეაქციები ამასთან დაკავშირებით. რაც შეეხება პოლიტიკურ პლურალიზმს, პოლიტიკურ პროცესს, ამ კუთხით უკრაინაში არის უმძიმესი ვითარება, ხსნის ამას ომით, მაგრამ თავი დავანებოთ ამ ყველაფერს, მოლდოვაში ომი არ არის, მაგრამ აქაც არის უმძიმესი ვითარება.

●

საქართველოში არის მედიის სრული თავისუფლება და ეს არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი 2012 წლის შემდეგ. რაც შეეხება მოლდოვას და უკრაინას, უმძიმესი მდგომარეობაა. უკრაინაში 105-ზე მეტმა ტელევიზიამ შეწყვიტა მაუწყებლობა, გაუჩერდა ლიცენზია ამ ბოლო წლების განმავლობაში. 100-ზე მეტ ტელევიზიას შეუჩერდა ლიცენზია, შეუწყდა მაუწყებლობა. მოლდოვაში 12 წამყვან არხს გაუუქმდა, შეუჩერდა ლიცენზია და ვეღარ მაუწყებლობენ. მოლდოვაში დარჩა სახელმწიფო ტელევიზია 1, ჰქვია ფორმალურად საზოგადოებრივი მაუწყებელი და მე-2 - სახელმწიფო ტელევიზია 2. ეს არის მოლდოვაში მედიაპლურალიზმის მდგომარეობა. თქვენ გსმენიათ სადმე ამასთან დაკავშირებით კრიტიკა? ვინმე დაუსანქცირებიათ იმის გამო, რომ 12 ტელევიზია გააუქმეს მოლდოვაში ან 105 ტელევიზია უკრაინაში? უკრაინაში ამას ამართლებენ ომით. მოლდოვაში არ არის ომი. 12 ტელევიზია დაიხურა, სახელმწიფო ტელევიზია 1, სახელმწიფო ტელევიზია 2 - ეს არის მედიაპლურალიზმის მდგომარეობა მოლდოვაში. იცით, ჩვენთან რა აჟიოტაჟი მოჰყვება ხოლმე პოლიტიკოსის დაჭერას, დაკავებას, დაპატიმრებას და ა.შ. იცით, რა ხდება ამ კუთხით უკრაინაში და მოლდოვაში.

●

ღმერთმა დაგვიფაროს, საქართველოს საქმე ისე გაუხდეს, რომ მაქარაშვილთან იმართლოს თავი. რა თქმა უნდა, საქართველო არასოდეს იმართლებს თავს მაქარაშვილთან, რომელიც წავიდა უკრაინაში და იქ რეები აკეთა კიდევ მაგაზე ბევრი ჭორ-მართალი არსებობს. რამდენი ასეთი საქმეც წავიდა სტრასბურგის სასამართლოში, ყველგან გაიმარჯვა საქართველომ. და თავი უნდა იმართლონ იმათ, ვისაც ჰქონდა

ბიძინა ივანიშვილის როლი განსაკუთრებულია იმაში, რომ მისი მონაწილეობით მოვახერხეთ გრძელვადიანი მშვიდობის შენარჩუნება

2012 წლიდან მოყოლებული, მიდის პირდაპირი შეტევა ქართულ სახელმწიფოზე, ბიძინა ივანიშვილზე, მის ოჯახზე. გადახედეთ, რა განცხადებები კეთდება. თუნდაც სანქციებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სიცრუეზე, ტყუილზე იყო დაფუძნებული. შანტაჟი დღესაც გრძელდება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა ივანიშვილის როლი განსაკუთრებულია ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ჯერ დავიწყოთ 2012 წლის პირველი ოქტომბრით. ამ ადამიანმა გადადგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როდესაც პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება. სრულიად საქართველო გაერთიანდა მის ირგვლივ და არჩევნებით დამარცხდა ის სისხლიანი რეჟიმი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში, ხალხმა დაინახა, რომ ეს არ იყო მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“. ეს იყო ძალა, რომელიც იმართებოდა გარედან, გარე აქტორების ჩართულობით, მათი უაშუალო დავალებებით. თუ რაიმე სიბინძურე, საშინელება შეიძლება იკადროს ადამიანმა, ყველაფერი გააკეთეს და აკადრეს ქართველ ხალს.

ბიძინა ივანიშვილის ჩართულობით, ჩვენ მშვიდობიანად დავამაცხეთ ეს ძალა. ხედავთ, რომ ქვეყანად დაუბრუნდა დემოკრატიული განვითარების გზას. ქვეყანაში დაცულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ისე, როგორც არასდროს, განმტკიცებულია სუვერენიტეტი, ვიცავთ ქვეყნის დამოუკიდებლობას. ეს, ცხადია, მარტივი არ არის. შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, რომ მარტივად ხდება ეს ყველაფერი, მაგრამ ძალიან დიდი შემოტევები და ზეწოლა მიდის, რომელიც დღესაც გრძელდება. ხედავთ, თუ რა ტიპის განცხადებები კეთდება სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან და როგორია შემოტევა. თუმცა დღეს საზოგადოებამ ისიც ძალიან კარგად იცის, რატომ აქვთ ამხელა ინტერესი, რა დგას ამ ყველაფრის უკან, რა მოწოდებები კეთდებოდა და რას გვეუბნებოდნენ კაბინეტებში. ბიძინა ივანიშვილის როლი განსაკუთრებულია იმაში, რომ მისი მონაწილეობით, გადაწყვეტილებებით მოვახერხეთ გრძელვადიანი მშვიდობის შენარჩუნება. ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში.

მმართველი გუნდის წინააღმდეგ შეტევების მიზანი არის ის, რომ თავად მართავდნენ საქართველოს, შემდეგ კი ის გამოიყენონ სხვადასხვა ქმედებებში. პირდაპირი მოწოდებები კეთდებოდა ომში ჩართულობასთან დაკავშირებით. იმ პოლიტიკას და საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელსაც დღეს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ახორციელებს. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ყველა პატარა სახელმწიფო განაგრძობს, თუმცა ჩვენ ნუ გვექნება იმის ილუზია და მოლოდინი, რომ შემდეგ ვიღაცები გამოვლენ და ბოდიშს მოიხდიან იმ კრიტიკის გამო, რომელიც დღეს საქართველოსთან დაკავშირებით ხდება. ეს ასე არ მოხდება. უფრო მეტიც, მათ ვერ წარმოუდგენიათ, საქართველოს მსგავსმა პატარა ქვეყანამ როგორ გაბედა და დაიცვა ღირსება, ქვეყნის სუვერენიტეტი ჩვენი პრინციპული პოზიციით. ეს არის მათთვის სერიოზული პრობლემა და გამოწვევა ვიდრე ის, რომ ომში ჩავრთულიყავით და მშვიდობიანი, უდანაშაულო ხალხი დაგვეხოცა. ეს არის სამწუხარო რეალობა.

წარმოუდგენელია, ევროინტეგრაციის პროცესით მუდმივად აშანტაჟო ქვეყანა

ევროინტეგრაციის პროცესი ვერ იქნება გამოყენებული შანტაჟის იარაღად და ჩვენ ამ დამოკიდებულებას არ მივიღებთ. მზად ვართ ვისაუბროთ, თუკი რაიმე გამოსასწორებელია, გვითხარით. საქართველოს ხელისუფლება მზად არის დიალოგისთვის, კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის.

შანტაჟი გრძელდება ჩვეულებრივად და წარმოუდგენელია, ევროინტეგრაციის პროცესით მუდმივად აშანტაჟო ქვეყანა.

ჩვენ არაერთხელ გავაკეთეთ განმარტება და განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის დიალოგისთვის, კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის, თუმცა ვიღაცამ ზემოდან თითი გვიქნიოს, მუდმივად შეურაცხყოფა გვაყენოს, ეს კატეგორიულად მიუღებელია.

არ ვიცი, ტექნიკურ შეხვედრაზე საუბარი რაზე იქნება, თუმცა ვისმენთ იმ კრიტიკულ განცხადებებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ტყუილზე და სიცრუეზეა დაფუძნებული.

როდესაც საუბარია რეკომენდაციებზე, მაგალითისთვის, იყო მოწოდებები, თითქოს გამჭვირვალობის კანონმდებლობა ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პროცესებს და უნდა იყოს გაუქმებული. თუ მოგისმენიათ ერთი კონკრეტული განმარტება, რატომ არის აღნიშნული კანონმდებლობა პრობლემური და რატომ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პროცესებს? არანაირი განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით არ ყოფილა, მეტიც - ევროპული ქვეყნები თავად საუბრობენ იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ამ ტიპის კანონმდებლობის მიღება თავიანთ ქვეყნებში.

ჩვენ ვიცავთ საკუთარ ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის ინტერესს, სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას. შენ თუ ჩემი მეგობარი ხარ, არ უნდა მომიწოდო ისეთი ნაბიჯების გადადგმისკენ, რომლებიც დამანგრეველი, დამღუპველი და დამაზიანებელი იქნება ჩემი სამშობლოსთვის. როდესაც ამ ტიპის მოწოდებებს აკეთებ, ეს მეგობრობა არ არის, როდესაც მოგიწოდებენ და რეზოლუციებს იღებენ, რომ შეუერთდე სანქციებს, რომლებიც დამაზიანებელი იქნება შენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის, როდესაც მოგიწოდებენ გახსნა მეორე ფრონტი, ეს მეგობრობა არ არის.

რევოლუციის 5 მცდელობა ჩვენს ქვეყანაში, გასული 4 წლის განმავლობაში.

●

კონსტიტუციური წესრიგი ფეხქვეშ გათელეს, ეს ეხებოდა ადამიანის უფლებებს, მედიის თავისუფლებას, ბიზნესის რეკეტს, ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი ჩააბარეს რუსეთის ფედერაციას და იგივე შეიძლება ითქვას მათ ოპოზიციურ საქმიანობაზე, თუ დემოკრატიას უპირისპირდები, რა გინდა იმ დემოკრატიაში და ზუსტად ამას ეფუძნება კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც შეტანილია საკონსტიტუციო სასამართლოში

სამართალში მოქმედებს ასეთი კონცეფცია, ეს არის თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის კონცეფცია, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ კონკრეტული ძალები პირდაპირ უპირისპირდებიან დემოკრატიის იდეას, მათი ადგილი ამ დემოკრატიულ სისტემაში ვერ იქნება.

●

პირველი აქტიური განხილვა ამ საკითხისა, გვქონდა, დაახლოებით, წელიწადის და 2-3 თვის წინ. მაშინაც იყო გარკვეული დავალება გაცემული. ვერ მოხერხდა, თუმცა დღეს ვართ საკმარისად მომაგრებული იმისათვის, რომ ნებისმიერი ასეთი ინიციატივა გავიტანოთ. ჩემთვის პირადად, ამ წელიწადისა და 2-3 თვის წინ ეს არ ყოფილა მიზეზი, რომ ვინმე მფარველი ჰყავდა ამ კრიპტომაინინგს, ეს არ იყო მიზეზი. ჩვენ ძალიან ბევრი საკადრო ცვლილებაც განვახორციელეთ, მათ შორის, ძალოვანი მიმართულებით, შევცვალეთ მთლიანად მიდგომები, დამოკიდებულებები და სახელმწიფო დღეს არის ძლიერი. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ცდილობდა საბოტაჟს ამ ქვეყანაში, კონკრეტული შემთხვევა იყო, როდესაც ინვესტორს გამოუყვანეს მოსახლეობა და ვიცით, ვინ გამოიყვანა მოსახლეობა, მიზანი იყო - წილში ჩაჯდომა. იყო შემთხვევები, როდესაც ელექტროენერგიაში ჩართულ კომპანიებს ჰქონდათ ინტერესი, ძალიან ადვილია საქართველოში, უცბად შესაძლებელია 50 კაცის მობილიზაცია და ადვილი იყო ასეთი ტიპის პროექტების ჩაშლა. აღარ არის ეს ადვილი. ჰესებსაც ავაშენებთ, კრიპტომაინინგიც აღმოიფხვრება, ყველა მიმართულებით - იქნება ეს კორუფცია, საბოტაჟი თუ ნებისმიერი სხვა, სახელმწიფო დღეს არის საკმარისად ძლიერი იმისათვის, რომ დაუპირისპირდეს კორუფციას, საბოტაჟს, ნებისმიერ ლობისტს და ა.შ. წელიწადის და 2-3 თვის წინ ასე არ იყო. დღეს სახელმწიფოს იმის ძალა და ფუფუნება აქვს, რომ იყოს ბოლომდე უკომპრომისო, ისე, რომ არ დააზიანოს რაიმე გვერდითი მოვლენებით ინტერესები. სახელმწიფოს დღეს აქვს საკმარისი რესურსი და ძალა იმისათვის, რომ ბოლომდე, პრინციპულად დადგეს ასეთ საკითხებში, როცა საქმე ეხება, მაგალითად, კრიპტომაინინგს, როცა დაახლოებით 20 მლნ ლარის ელექტროენერგიას იპარავდნენ მაინინგის საფუძველზე. სახელმწიფო საკმარისად ძლიერი ვერ იყო საბოტაჟის მიმართ და დღეს არის. ჩემთვის არასდროს, არც წელიწად-ნახევრის წინ და არც დღეს, არავის მიმართ მფარველობას არ აქვს არავითარი დატვირთვა. მფარველობა ვერ იქნება ასეთი ნაბიჯებიდან უკან დახევის მიზეზი ჩემთვის.

ჩვენ ხომ შეგვეძლო, მშვიდად გვეზრუნა ქვეყნის განვითარებაზე, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზე, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ჩვენ თან გვიწევდა ამაზე ზრუნვა, თან გვიწევდა რევოლუციის ხუთ მცდელობასთან დაპირისპირება, ათასი უბედურება იყო - შანტაჟი, საბოტაჟი, კორუფციაც ამის გამოძახილი იყო.

ისემც უქნიათ, დაუჭამიათ ერთმანეთი!

აქა ამბავი სააკაშვილისა და მელიას დაპირისპირებისა

მეორე კვირა დაიწყო, რაც მიხეილ სააკაშვილი და ნიკანორ მელია ერთმანეთს დაემგერნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, ამათ დაძგერებას როგორი რეზონანსი ექნებოდა? პირდაპირ ამბის თხრობაზე გადავალ და ალაგ-ალაგ ჩემს მოსაზრებებსაც გაგაცნობთ: ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილმა საკნიდან ვიღაცის ხელით წერილი გამოაგზავნა და შემდეგ ვიღაცამ მის „ფეისბუკგვერდზე“ გამოაქვეყნა. რაღა დაგიმალოთ და... ეგრე სჯობს, თორემ როცა მიხეილი თვითონ წერდა, წინადადებებიც გაუმართავი იყო, სტილიც და კორექტურაც. მართალია, ვიღაცის მიერ გასწორებული ტექსტებიც არ გახლავთ მთლად დალაგებული, რაც იყო, იმას გაცილებით სჯობს, ეს ვიღაცა სააკაშვილთან შედარებით აკაკი შანიძეა. იმ წერილში გულდაწყვეტილი მიხეილი წუხდა, მე ვინც საქართველოში ჩამოსვლაზე ჩამჩიჩინებდა, რუსეთის აგენტი აღმოჩნდა, ჩამოვედი და დაიმალაო, ჩემს მხარდასაჭერად გამოსული ხალხი კი მელიამ დაშალა და სახლში გაუშვაო. მახსოვს, ამ მხრივ ყველაზე მეტად გია ბარამიძე და თაკო ჩარკვიანი აქტიურობდნენ. ერთი ეძახდა - ჩამო-ჩამოვო, მეორე კიდევ ხელმოწერებს აგროვებდა, აეროპორტში 300 ათასი კაცი უნდა დავახვედროვო. ბოლოს კი რა გამოვიდა? ჩემ უბანში (სანზონაში) მიუყვანია თავისთან იმ მძღოლს, რომელსაც არაყანი გადმოჰქონდა უკრაინიდან და ესეც გამოაყოლა. პრინციპში, გამოაყოლა რა, ჩაუსვეს და უთხრეს, არაყნის ყუთებში დამალე და ისე ჩაიყვანე თბილისამდეო.

სააკაშვილი ამტკიცებს, პოლიციასთან ერთმა ჩანერგილმა ჩამიშვაო. კი, მაგრამ ერთმა კაცმა რანაირად ჩაუშვა, როცა მისი ადგილსამყოფელის შესახებ მთელმა უბანმა იცოდა? ეს ერთი და მეორეც - როდესაც ბათუმიდან ვიდეო ჩაწერა, აქ ვარ და ფეხებსაც ვერ მომჭამთო, როგორ ფიქრობთ, პოლიცია ჭურში იჯდა? სად იყო ამ დროს ბარამიძე? სად იყო ქალბატონი თაკო, რომელსაც რუსთაველზე ლეიბები უნდა დაეყარა და გაწოლილიყო? სად იყვნენ სხვები? - არსად, ყველა დაიმალა, სააკაშვილი ყველამ მიატოვა. ახლა კი, ახლა, მისი საყვედური მელიამ საკუთარ თავზე მიიღო და ეგრევე ამოიქოქა - ეგა, კაცო, საქართველოში ეჭვიანობამ ჩამოიყვანაო.

რამდენიმე ამონარიდი მელიას წერილიდან: “სააკაშვილს უკვე მრავალი წელია ჩემს მიმართ ეჭვიანობა, როგორც ყელს შემოჭერილი მარყუჟი, ისე ახრჩობს. გულის საოხად და დარდის გასაქარვებლად მორიგი ტყუილით გაჯერებული, ცილისმწამებლური წერილი გაუვრცელებია - მელიამ ჩემი გათავისუფლების მოთხოვნით ჩატარებული აქცია დაშალა და ხალხი სახლებში გაუშვაო! სააკაშვილისთვის ტყუილი და უტიფრობა პროზაულია, ამის გარეშე ის აღარ არსებობს, თუმცა, მაინც, იქნებ სიმართლის თქმის ძალა მოიკრიბოს და თავად ალაპარაკდეს მის მიერ დაშვებულ უმძიმეს შეცდომებზე და ადამიანურ სისუსტეებზე, რაც მან მთელი 2022 წლის განმავლობაში დაუშვა და გამოავლინა. როცა შეცდომებსა და ადამიანურ სისუსტეს ვახსენებ, რეალურად მის მიერ გადადგმულ უმძიმეს მორალურ და პოლიტიკურ ნაბიჯებს ვგულისხმობ. ისიც მოჰყვეს, იმ კაცს, რომელსაც არ ასახელებს, მთელი 2022 წლის განმავლობაშიც რა საკითხებზე

ეთანამშრომლებოდა. რატომ იყო „ის კაცი“ მისი მოციქული ხელისუფლებასთან 2022 წელს?! ანუ მისი „ვივამედში“ ყოფნის დროსაც! ამ კაცის მეშვეობით რა გარიგება დაიდო ხელისუფლებასთან და 2022 წლის ბოლოს რაში გადააგდეს სააკაშვილი! ამ ძალიან მძიმე დეტალებს ფართო საზოგადოება მაინც შეიტყობს, თანაც კონკრეტული ფაქტებით და აჯობებს, თავად დაასახელოს ის კაციც და მისი პარტნიორებიც. სააკაშვილი „იმ კაცს” საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც მრავალი თვე აქტიურად ეკონტაქტებოდა, „ის კაცი” იყო სააკაშვილის კომუნიკატორი ხელისუფლებასთან. სააკაშვილის გაუთავებელი ტალახის სროლა და დროდადრო მისი მხრიდან, მის წინააღმდეგ თითქოს ჩადენილ ღალატზე საუბარი, მხოლოდ და მხოლოდ ემსახურება მისი უცხოეთში გაშვების სანაცვლოდ, ხელისუფლებასთან გარიგებაში შესვლის კონკრეტული ისტორიის გადაფარვის მცდელობას, რომელიც მას ბევრი მიზეზის გამო, დღეს ძალიან აწუხებს. მას აქვს მისი იმ მძიმე ისტორიის გახმაურების კომპლექსი და შიში. ადამიანს შიში აიძულებს იცრუოს. აი, ამიტომაც იქცევა იმდენად უზნეოდ და არაადექვატურად, რომ შეიძლება ეშმაკმაც კი ფეხი მოიტეხოს. რაც შეეხება უშუალოდ მის ჩამოსვლას ადგილობრივი არჩევნების წინ: ის საკუთარმა დაუძლეველმა ეჭვიანობამ აიძულა ჩამოსულიყო. პლუს, სააკაშვილს „ის კაციც” და სხვებიც ეუბნებოდნენ, თუ ის არ ჩამოვიდოდა საქართველოში, მელია მას პარტიას წაართმევდა. თუმცა ის ამ ფობიით უკვე ისედაც შეპყრობილი იყო. ამას დაემატა მაშინდელი, დღემდე უპრეცედენტო ოპოზიციური ერთობა, რამაც მისი ეჭვიანობა საშინლად გააძლიერა. დაინახა ისიც, რომ პარტიას მსხვილი დონორი გაუჩნდა, რაც მე საზოგადოებას არ დავუმალე და ბუნებრივია, მანაც გაიგო. მისი წვლილი იმ უმაგალითო ოპოზიციურ ერთობასა და 2021 წლის საარჩევნო კამპანიის ფინანსურ უზრუნველყოფაში იყო ნულოვანი და ამის ფონზე, მისმა ეჭვიანობამ პიკს მიაღწია და შედეგად ჩაიდინა სალტო მორტალე, რითიც საკუთარ თავს ის დამართა, რაც დამართა და უნიკალური, ძალიან პერსპექტიული პოლიტიკური პროცესი ფერფლად გადაიქცა. ამის შემდეგ კი ზემოთ უკვე ვახსენე, რა ფარული ნაბიჯებიც გადადგა, რასაც საზოგადოება აუცილებლად დეტალებში გაიგებს“.

ვინ არის „ის კაცი“? იქნებ მისი „ადუკანტი“ შალვა ხაჭაპურიძეა, ასერიგად რომ იცავდა და ბოლოს მაინც ვერაფერი თუ არაფერი გააკეთა? ეგებ ვალერი გელბახიანია, რომელიც ასევე ჩაფლავდა? არ ვიცი, კიდევ ვინ უნდა იყოს „ის კაცი“?

რასაკვირველია, მიხეილი მელიას ამას არ გაუტარებდა, აკი მოიწერა კიდევაც, მაგას ისედაც ბევრი გავუტარე და უკვე თავს გავიდაო, მელია ჭაობშია, მაგისგან ვერაფერი გამოვიყვანე, კაცად ვერ ვაქციეო. ისე, ჩვენში დარჩეს და არაკაცმა კაცად ვინმე რანაირად უნდა აქციოს?

სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, საკუთარ თავს ხატავს მზრუნველ მამად, უამრავი ადამიანის გზაზე დამყენებლად, თურმე მისი მოწაფეები მოდებულნი არიან მთელ მსოფლიოს და ხელმძღვანელობენ საკვანძო საკითხებს. არადა, არც ერთი არ გახლავთ სრულფასოვანი, ყოველი მათგანი გაბრაზებული აკაცუკია. ის, რომ ზოგიერთი უკრაინაში „მღვაწეობს“, ზოგი კიდევ სხვა ქვეყანაში, ეს ანომალიაა - ლადო გურგენიძე აფრიკაში ყველაზე წარმატებულ რეფორმებს ხელმძღვანელობდაო (ამიტომაც აყვავდა აფრიკა), ხოლო დიმა შაშკინი განათლების რეფორმებს ატარებს შუა აზიაშიო. თუ განათლების ისეთი რეფორმა ჩაატარა, როგორიც საქართველოში, მაშინ კედლებს თავებს უნდა ურტყამდნენ შუა აზიელები. ესე იგიო, მარტო მელია, ოქრუაშვილი და ბოკერიები არ გამომადგნენ, დანარჩენებმა კი მასახელესო. ისე, ოქრუაშვილი რატომ არის გაჩუმებული, ეგ რატომ არ აგზავნის წერილებს „დილეგიდან“? რატომ არ ჩაებმება „ლომთა“ ჭიდილში? ეგ ხომ ყველაზე ადრე გააფარჩაკა სააკაშვილმა? იმედი მაქვს, ჩაებმება და უფრო შინაარსიანს გახდის ლომებისა და „ნეფხვების“ ბრძოლვინვას.

ნიკანორ მელიას საკუთარი მამა, ანზორ მელია გამოექომაგა და სააკაშვილს მიმართა, გაჩერდი, თავს ნუ იჭრი, სირცხვილიაო:

„ნიკა თუ ჭაობში აღმოჩნდა, შენ რაში აღმოჩნდიო? ჰკითხოს ვინმემ, არაყანში და ნაყინებში რომ იჯდა ორი დღე და არავინ დახვდა, ახლა გაბრაზებულია და ყველაზე ჯავრს იყრის? რცხვენოდეს ამ ყველაფრის“!

სააკაშვილსაც გამოექომაგნენ მეგი გოცირიძეები და ვიღაც წულაიები - ეგე, ხომ ვამბობდით, რომ მელია მოღალატე იყოო? ახლაც არ გჯერათო? აჰა, კაცო, პირდაპირ სააკაშვილმა დაადო ხელიო. ისე, მეგონა, თუ ნიკანორს მამა გამოექომაგა, მიხეილს გიულ-დედული გამოექომაგება... ბოლო-ბოლო, მამინაცვალი ჩალაძე მაინც-მეთქი, მაგრამ რად გინდა? ამ ეტაპზე ორივენი გაჩუმებულები არიან. მოკლედ, ნიკანორი სააკაშვილზე ამბობს, ბიძინასთან არის შეკრულიო, სააკაშვილი ნიკანორზე იძახის - ბიძინასთან არის შეკრულიო. საოცარია, თუ ბიძინა ივანიშვილმა ორივე ცალ--ცალკე „დაავერბოვკა“, მაგარი ყოფილა, რანაირადღა ებრძვიან? ან მასთან ბრძოლაში სხვებს რა „პრასვეტი“ აქვთ?

მე მჯერა, უახლოეს ხანში „ლიდერების“ ჩხუბში ქვედა რგოლებიც ჩაერევიან, ერთმანეთს უფრო კარგად დაჭამენ და ეს იქნება ძალიან კარგი. ნანულა ჟორჟოლიანი უკვე ჩართულია, მან დასაწყისიდანვე არ გაუშვა მომენტი ხელიდან და სააკაშვილს „დაუპადერჟკა“ - როგორო, კაცო, როგორ, განა მიშას გარეშე ამ ქვეყანაში რამე იქნებაო? მოგვიანებით ნიკოლოზ გვარამიამაც გაიძრო ჩოხა-ახალუხი და გადახტა საჭიდაოდ - მიშა ვის დაჰკარგვია, თუ ვინმეს ჰგონია, ჩემი პარტია მაგან შექმნა, ძალიან ცდებაო.

ხედავთ, სადამდე მივიდა საქმე? ეს ჭიჭე ვაშაძე კიდევ ზის ჭუტაანებში და ისაო, ხელისუფლებაში მოვდივართ კოალიციურადო. რა კოალიციურად, ბიჭო? დილით სამი ბატი რომ ჩაგაბაროთ ხალხმა, საღამოს ერთი აღარ გეყოლებათ საბატეში.

გელა ზედელაშვილი

რა საქართველო და ირანი?

ჯო უილსონები ხომ არ ხართ, კაცო?

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კონგრესმენმა ჯო უილსონმა ჰკითხა: „პროირანული რეჟიმისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის მხარდამჭერი „ქართული ოცნების" არალეგიტიმური მთავრობა საფრთხეს უქმნის აშშ-ის წვდომას. გაყალბებული არჩევნები იყო საქართველოში. ამის გათვალისწინებით, ისინი ეხმარებიან ირანულ „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს" სანქციებისთვის გვერდის ავლაში. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რათა მოვაგვაროთ საქართველოს რესპუბლიკაში „ქართული ოცნების" მთავრობის მიერ მხარდაჭერილი სწრაფი რადიკალიზაცია"?

ხომ არის უილსონის შეკითხვა აბდაუბდა, მაგრამ პროვოკაციული? ეს კაცი თვეში 1000 დოლარად ებრძვის საქართველოს უკვე წლებია. ადამიანი, რომელსაც საკუთარი ოჯახის პრობლემები ვერ მოუგვარებია, წამდაუწუმ ერევა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში. ამას წინებზე უცხოურ პრესაში გამოქვეყნდა სკანდალური სტატია იმის თაობაზე, თუ როგორ სცემს და უყვირის ჯო უილსონის მეუღლე საკუთარ დედას მოხუცთა თავშესაფარში. ისე, კი არის გასაკვირი, ამ გადაღრეჟუებულ კონგრესმენს სიდედრი ცოცხალი უნდა ჰყავდეს? შეიძლება წიწკვი გოგო მოიყვანა ცოლად და ეყოლება, რატომაც არ ეყოლება?

ხედავთ, როგორ საშინელ სურათს ხატავს უილსონი 1000 დოლარად? თურმე საქართველოში პროირანული რეჟიმია, თანაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის მხარდამჭერი, რომელიც საფრთხეს უქმნის აშშ-ის წვდომას. რა წვდომაზეა საუბარი? კავკასიაზე წვდომას ვუშლით ხელს? იქნებ, საქართველოზე? მაშინ, როცა დონალდ ტრამპი ჩინეთის კომუნისტურ პარტიას და მის მესვეურებს ეკურკურება, საქართველოს არ აქვს უფლება, ფორმალურად მაინც დაელაპარაკოს? მეტიც, თურმე ჩვენ ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს" ვეხმარებით სანქციების გვერდის ავლაში. ახლა მეტყვით, ეს ყველაფერი თინა ბოკუჩავას, ზურაბ ჭიაბერაშვილის, გიორგი კანდელაკის, ლევან სანიკიძის და მათნაირების მიერ არის მიწოდებული, კაპიკის ფასიც არ აქვსო, მაგრამ რუბიოს ხომ ჩააწვეთეს რაღაც დონეზე? კაცი ხომ აანერვიულეს? იმდენი გახარება თქვენ, რაც მაგან ჩვენზე არ ინერვიულოს, მაგრამ მის ყურს ხომ ეს ყველაფერი ცუდად მოხვდა? ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც იფიქრებდა, ეს ერთ მტკაველზე დასახლებულები ეგეთ რაღაცებს რანაირად მედავენო?

სახელმწიფო მდივანმა რა უპასუხა? თქვენ გეგონათ, ეტყოდა, რას მიედ-მოედებიო? არა, თურმე ჩვენ გამო აშშ-ს აქვს შეშფოთებები:

„საქართველოზე... მართალი ხართ. ყველაფერი, რაც აღნიშნეთ, ჩვენი არსებული შეშფოთებებია. ამის შემდეგ, მათ რაღაც ნაბიჯები გადადგეს, რომლებიც მიგვანიშნებს, რომ შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაუმჯობესება სურთ. ჩვენ აღვნიშნეთ მათთან, რა იქნება საჭირო, რა მოთხოვნები იქნება. გარკვეული დადებითი პასუხები მივიღეთ. ასე რომ, იმედია, საქართველოს შემთხვევაში დღეს არსებული ტრაექტორიის ცვლილებას დავინახავთ. რა თქმა უნდა, ყველაფერი გვესმის, რაც ახლა აღნიშნეთ, ეს ჩვენთვის არსებული პრობლემებია. მათ გვკითხეს, თუ რა იქნება საჭირო შეერთებულ შტატებთან უკეთესი ურთიერთობებისთვის. ჩვენ ვუპასუხეთ და იმედია, რომ ამ საფუძველზე პროგრესს მივაღწევთ და, არა მხოლოდ საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობების ტრაექტორიის, არამედ მათი საქციელის შეცვლას შევძლებთ".

35 წელიწადი გავიდა, რაც ამერიკელები და ევროპელები ჩვენი საქციელის შეცვლას ლამობენ, ჩვენთვის ადათისა და ჩვეულებების დავიწყებას ცდილობენ, ტრაექტორიის შეცვლაც უნდოდათ, მაგრამ პროგრესს ვერ მიაღწიეს და ახლა რუბიოს უნდა, რომ ეს უახლოეს დღეებში გააკეთოს? რა გვჭირს, კაცო, შესაცვლელ-გამოსაცვლელი, თორემ კი. რუბიოს გამონათქვამები ძალიან მოეწონათ ე. წ. ოპოზიციაში, ერთი-ორმა ტაშიც კი შემოჰკრა - ნახეთ, აშშ-მ ბიძინა ივანიშვილს დავალება მისცა, თუ ტრაექტორიას და საქციელს არ შეიცვლის, დაისჯება, მას გააგდებენ და ხელისუფლებაში ჩვენ მოვალთო. ესე იგი, ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას აღარაფერს გვეკითხებიან.

ირაკლი კობახიძემ გასცა საკადრისი პასუხი - საქართველო მოწაფე არ არის, ვინმემ საქციელის შეცვლა მოსთხოვოს და საშემოდგომო გამოაყოლოსო. მშვენიერი პასუხია, მე გულზე მომეშვა. კობახიძემ ამავე დროს თქვა, რომ არანაირი შეკითხვა არ დაუსვამთ შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის განახლებაზე, რუბიო კი ამბობს, გვკითხეს ქართველებმაო. ისე, რაღა დაგიმალოთ და... მე არ მჯერა ამ ამერიკელების, 26 მაისს ისეთი ტექსტით მოგვილოცა რუბიომ ქვეყნის დამოუკიდებლობა, აშკარად ეტყობოდა, მხოლოდ ხელი რომ მოაწერა და არც წაუკითხავს:

„ოცდაათ წელზე მეტია, ჩვენს ერებს შორის მეგობრობა და პარტნიორობა აგებულია დემოკრატიის, სუვერენიტეტისა და უკეთესი მომავლისკენ სწრაფვის საერთო ღირებულებებზე. ამ დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ქართველი ხალხის სიძლიერეს, გამძლეობას და ჩვენს მტკიცე კავშირებს".

შე კაი კაცო, თუ 26 მაისს და მანამდეც ჩვენს ერებს შორის კავშირები მტკიცე და ურყევი იყო, ახლა 1000 დოლარად გაყიდულ უილსონს რატომ ეთანხმები და ამბობ, ქართველებს საქციელი უნდა შევაცვლევინოთო? ბოლო-ბოლო, შენს მიერ გამოგზავნილი დელეგაციის მიერ მომზადებული ანგარიში მაინც წაგეკითხა და უილსონისთვისაც წაგეკითხებინა. აგერ გვაქვს ტექსტი და ვნახოთ, რას იტყობინებიან, 25-28 მაისს თბილისში რომ იყვნენ შენი ხელქვეითები:

„დელეგაციამ საქართველოს მთავრობას მასთან კონსტრუქციულ, მომავალზე ორიენტირებულ ურთიერთობასთან დაკავშირებით ტრამპის ადმინისტრაციის მზადყოფნა გაუზიარა და მისი ინტერესი სუვერენულ პარტნიორებს შორის ორმხრივ ურთიერთობებში ურთიერთპატივისცემაზე, საერთო ინტერესებსა და გულწრფელ დიალოგზე დაფუძნებული ახალი ეტაპის დაწყების შესახებ. განვიხილეთ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის შესაძლო თანხვედრის სფეროები, მათ შორის: ეროვნული სუვერენიტეტისადმი საერთო ერთგულება, სამართლიანი ეკონომიკური გარემო, მავნე გარე გავლენებისადმი მდგრადობა და ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომელიც ორივე ერს განსაზღვრავს. ეს თანხვედრა ქმნის მყარ საფუძველს უფრო ღრმა პარტნიორობისკენ წინსვლისთვის. შეერთებული შტატები ელის საქართველოს მთავრობასთან მუშაობას ისეთი პარტნიორობისთვის, რომელიც ორივე ქვეყანას ხელშესახებ სარგებელს მოუტანს და სრულად აამოქმედებს ორმხრივი ურთიერთობის პოტენციალს".

თუ ბაიდენის ადმინისტრაცია ჩვენს ე. წ. ოპოზიციას ბოიკოტისკენ მოუწოდებდა და პარლამენტში შესვლაზე უარი უთხრა, ტრამპის ადმინისტრაცია ეუბნება, რომ ბოიკოტი გამოსავალი არ არის. შეგახსენებთ, ე. წ. ოპოზიციამ 63 მანდატზე თქვა უარი და ბოლოს მხოლოდ „გახარისტები" შევიდნენ.

სხვათა შორის, მარკო რუბიოს განცხადებაზე ირანის ელჩმა საქართველოში სეიედ ალი მოუჯანმაც გააკეთა კომენტარი: „მე ვფიქრობ, ამერიკამ უნდა გამოასწოროს თავისი შეხედულება სამყაროზე. ქვეყანამ, რომელიც სხვა ცივილიზაციების განადგურებას ცდილობს, ჯერ საკუთარი თავი უნდა გამოასწოროს".

მოსწრებული პასუხია, ვერაფერს დავამატებ - ქვეყანამ, რომელიც სხვის საქციელის შეცვლას ცდილობს, ჯერ თვითონ უნდა შეცვალოს თავისი საქციელი. უკაცრავად, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ რუბიოს განცხადება არის თავხედური, მან არ იცის, ვის ელაპარაკება და ვისზე ლაპარაკობს. ესენი რომ ვერ არიან მთლად

დალაგებულები, ახლა გაჩვენებთ ამის საუკეთესო მაგალითს. აი, რას ამბობს რუბიოს განცხადებიდან ორ დღეში მისი მოადგილე კრისტოფერ ლანდაუ:

„ვფიქრობ, ჩვენს ხალხებს ბევრი საზიარო რამ გააჩნიათ; მაგალითად, ღირსების შეგრძნება, ეროვნული ღირსება და ქვეყნის სუვერენიტეტის რწმენა; სამწუხაროა, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები იმდენად ახლო არაა, როგორც ამას ვისურვებდი. ვაფასებ თქვენ გამოსვლებს, სიტყვებს, რომლითაც მეგობრობის ხელს გვიწვდით; მე კი აქ ვარ, რათა ჩამოგართვათ ხელი. ვფიქრობ, ეს მშვენიერი შესაძლებლობაა, დავიწყოთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების აღდგენა. საქართველოს კავკასიის რეგიონში წარმოუდგენლად სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების ფონზე. ვფიქრობ, რეგიონული ინტეგრაციის თვალსაზრისით, ამან ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები შექმნა. ძალზედ მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტმა ტრამპმა საკუთარ ადმინისტრაციაში სხვადასხვა ქვეყნებთან არსებული, რიგ შემთხვევაში წლების განმავლობაში გაყინული ურთიერთობების გადახედვის თავისუფლება მოგვცა. წინა კვირას თბილისში ჩვენი დელეგაცია წარვგზავნეთ და დადებითი განწყობით ველი, რომ თქვენს ხელისუფლებასთან მუშაობა გაგრძელდება, რათა შევძლოთ ჩვენს შორის კიდევ უფრო მეტი საერთოს გამონახვა, იქნება ეს ეკონომიკის, უსაფრთხოებისა, თუ პოლიტიკის მიმართულებით".

ა, კაცი! გულახდილად აღიარებს, ტრამპმა უფლება მოგვცა, დაგელაპარაკოთო. როგორც ჩანს, წინა ადმინისტრაციას აკრძალული ჰქონდა ჩვენთან დალაპარაკება. როგორც ჩანს კი არა, სწორედაც რომ ასეა. ახლა კი, რუბიოს მოადგილის პათოსს თუ გავყვებით, მგონი, იქით იხვეწებიან, ურთიერთობა აღვადგინოთ, ვიმეგობროთ, ხინკალი და ხაჭაპური მოგვენატრაო.

და ბოლოს... ირაკლი კობახიძემ, ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა უპასუხა ორიგინალურად ჟურნალისტებს, როცა რუბიოს განცხადებასა და ირანზე ჰკითხეს:

„რა საქართველო და ირანი? ჯო უილსონები ხომ არ ხართ, კაცო"?

მართალია, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ საქართველო ირანს სანქციების გვარდის ავლაში არ ეხმარება, მაგრამ როგორც კი უილსონს კეზერაშვილი 1000 დოლარს გადაურიცხავს ხოლმე, ეგრევე მაგ უაზრობას გვაბრალებს. მაისის თვისა უკვე გადარიცხულია და ჯოც სწორედ ამიტომაა გააქტიურებული. არა უშავს, ესეც გაივლის, ამაზე უარესებიც გვინახავს.

გელა ზედელაშვილი

გვესაუბრება პოლიტეკონომისტი რევაზ კარანაძე:

დღეს ამერიკა დაღმავალი, ხოლო ჩინეთი აღმავალი დიდი ძალაა

— ბატონო რევაზ, გამოხმაურება მოჰყვა წინა კვირას კაია კალასის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ ევროპის უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოში რუსეთის ჯარების არსებობა, შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს. ევროკავშირი რუსული ჯარების გაყვანას ღიად ითხოვს და აღნიშნავს, საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე სვლისკენ ხელი უნდა შევუწყოთო.

— ჩვენს ქვეყანასთან შეთანხმების გარეშე, ასე უბრალოდ, მის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე საუბარი, ვფიქრობ, სწორი არ არის. რუსეთის ჯარებმა საქართველოს ტერიტორია რომ უნდა დატოვონ, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ თუ როგორ ან რა ფორმით უნდა მოხდეს, ეს საქართველოსთან უნდა შეთანხმდეს. დიახ, ეს ოფიციალური თბილისის გადასაწყვეტია და არა ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის კაია კალასის, რომლის ქმარიც სანქციების დაწესების პერიოდში რუსეთთან ვაჭრობდა. და, იმ კაია კალასის, რომელმაც მეორე მსოფლიო ომთან მიმართებით ამას წინათ გაუგონარი განცხადება გააკეთა. ხოლო როცა მას უთხრეს: ამ საკითხში ვერ ერკვევითო, გადაწყვიტა, რომ ბევრი უნდა წაიკითხოს. კალასმა, ასევე, გააკრიტიკა ირლანდია: თქვენ რა იცით, საერთოდ, კოლონიალიზმი რა არის, ეს ჩვენც განვიცადეთ ორმოცი წლის განმავლობაშიო. ირლანდიელებმა მისი ცოდნა, როგორც აბსოლუტურად გაუნათლებელის, ისე შეაფასეს.

აქედან გამომდინარე, საქართველოსთან მიმართებით გაკეთებული კალასის განცხადებაც არის სპეკულაცია. ჩვენს ქვეყანაში, უბრალოდ, აჟიოტაჟის ატეხვის, ისტერიის დანერგვის საშუალება, რათა მერე თქვან: ხომ ხედავთ, საქართველოს მთავრობა ევროკავშირის მოწოდებას ქვეყნიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ, არ ეურთდება. კალასს, მით უმეტეს, მის ასეთ ზედაპირულ განცხადებას, არანაირი ძალა არ აქვს. ამით, უბრალოდ, მანიპულირებენ და ადამიანების ნერვებზე თამაშობენ.

ჩვენ ევროპულ კურსზე საუბარი დავიწყეთ თითქოს იმისთვის, რომ რუსეთი დაგვებალანსებინა, მაგრამ ამით საქმე უფრო გავირთულეთ, შედეგად, რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა და მათი ოკუპაცია მოახდინა. აქედან გამომდინარე, საკითხი, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა მოგვარებულიყო, სამწუხაროდ, უფრო მაღალ დონეზე — დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაში გადავიდა. რეალურად, ჩვენი პოტენციალი — საკითხის მოგვარება გარე ძალებს ვანდეთ, რაც ჩემთვის მიუღებელია.

— რეალურად, რა არჩევანის წინაშე ვართ?

— ჩვენი — საქართველოს არჩევანი, უპირველესად, საკუთარი ინტერესების დაცვაა. ის, რომ ჩვენ რაღაც ცივილიზაციის ნაწილი უნდა ვიყოთ, მოძველებული, აბსტრაქტული მოცემულობაა, რასაც 21-ე საუკუნეში ასე მარტივად ველარ გავატარებთ. ეს, ჩემი აზრით, სატყუარა აღმოჩნდა, რადგან ჩვენ ახლა ნელ-ნელა ვსწავლობთ, რა არის ევროპა. გამოცდილებამ ერთი რამ აშკარად დაგვანახა — ჩვენი სუვერენულობა სხვებს მარტივად არ უნდა გადავაბაროთ, რადგან „კეთილი ბიძიები“ არ არსებობენ.

— ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საქართველოში შეხვედრები გამართეს, სადაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად, რეგიონში არსებული ვითარება განიხილეს. ყურადღება გამახვილდა საქართველოს როგორც საიმედო სტრატეგიული პარტნიორის როლზეც.

— აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვას რაც შეეხება, ჯერჯერობით, ამ კუთხით მნიშვნელოვანი არაფერია. ვფიქრობ, ხელისუფლება ცდილობს, აშშ-სთან ურთიერთობის დალაგების გზით ლეგიტიმაცია მოიპოვოს, გარკვეული შეთანხმებები გააფორმოს და ტრამპისგან სიმპათიაც დაიმსახუროს. სხვა ხელშესახებ ურთიერთობას კონტინენტსგადაღმა მდებარე აშშ-სთან ამ ეტაპზე არ ველი. მაშინ, როცა დღეს ამერიკა დაღმავალი დიდი ძალაა, ხოლო ჩინეთი — აღმავალი დიდი ძალა და თანაც, ეს უკანასკნელი ჩვენს კონტინენტზეა, საკითხს ცოტა სხვაგვარად უნდა მივუდგეთ. ეს არ ნიშნავს, რომ ამერიკასთან არამეგობრული ურთიერთობა უნდა გვქონდეს. თუმცა, ამდენხნიან სტრატეგიულ ურთიერთობასა და პარტნიორობას ეკონომიკაში, ვიზების გამარტივებასა, თუ სხვა საკითხებში ხელჩასაჭიდი შედეგები უნდა მოყვებოდეს, რასაც ვერ ვხედავთ. გული მწყდება, რომ ჩვენ აშშ-სთან ცალმხრივი ურთიერთობები და, მათ შორის, სავიზო რეჟიმიც ცალმხრივი გვაქვს. ჩემი აზრით, სტრატეგიულ პარტნიორებს შორის ასეთი დამოკიდებულება არასწორია.

— როგორ შეაფასებთ ბოლო დროს ზელენსკის გააქტიურებას, რომელიც საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე ალაპარაკდა და განაცხადა, რომ მზადაა, ჩვენს ქვეყანას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში ყველანაირად დაეხმაროს.

— ვერც კი წარმომიდგენია, ზელენსკი საქართველოს რაში უნდა დაეხმაროს. ვფიქრობ, მას დახმარება მსოფლიოსგან თავად სჭირდება. ამიტომ ცდილობს, იმ ადგილებს მიუახლოვდეს, სადაც შესაძლოა, მხარდაჭერას გამოჰკრას ხელი. ზელენსკის ჩვენი დახმარება არაფერში შეუძლია, ეს მხოლოდ პიარია ისევე, როგორც მთელი მისი მოღვაწეობა.

— კანდელაკის კვლევის თანახმად, საქართველო ირანის ორბიტაზე ინაცვლებს. „ჰადსონის ინსტიტუტის“ ტრიბუნიდან საკუთარი ქვეყნის ტერორიზმში დადანაშაულება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე როგორ მოქმედებს? მით უმეტეს, რომ ამ განცხადებიდან ორიოდ დღეში უილსონმაც გაიმეორა: საქართველოს კურსი უნდა შევაცვლევინოთ და ირანის ორბიტიდან ევროპის გზაზე დავაბრუნოთო.

— კანდელაკი და მისი მსგავსნი კოლექტიურად, მიზანმიმართულად მოქმედებენ, რათა აშშ-მ საქართველოს მთავრობას რაიმე სახის სასჯელი დაუწესოს. ჯერ გაჰყვიროდნენ: ქვეყანა რუსეთისკენ მიჰყავთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — დაინახეს რა, რომ ტრამპს რუსეთთან ანტაგონისტური დამოკიდებულება არ აქვს, რუსეთზე ყვირილს შეეშვნენ. მერე ჩინეთზე გადაერთნენ, თუმცა ჩვენ ვნახეთ ორი კვირის წინ სი ძინპინთან თავდახრილი ტრამპი. აქედან გამომდინარე, ახლა ირანზე გადავიდნენ, რაც, ჩემი აზრით, ძალიან სასაცილოა. ჯო უილსონმა როგორც კი „მეგობარი აქტი“ მიიღო, მაშინვე ამ საკითხის კონგრესში გატანას შეეცადნენ. თავდაპირველად იქ მტრად რუსეთი იყო მოხსენიებული. ტრამპის გამარჯვების შემდეგ, ტექსტი ჩინეთსა და ირანზე გადააკეთეს. მას მერე, რაც ტრამპი ჩინეთთან ურთიერთობის დალაგებას შეეცადა, ახლა მთავარ დამნაშავედ პირდაპირ ირანი ჩაწერეს. ხომ ხვდებით, რა დონეზე დაეშვნენ. არასდროს დამავიწყდება მწერალ ტორესა მოსის განცხადება: ამერიკელებმა ბარემ გამოისეირნონ და თბილისიც დაგვბომბონ, მე წინააღმდეგი არ ვიქნებიო. მერე ეს პოსტი წაშალა, რადგან შარშან თორმეტდღიანი ომის მერე, ამას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. ამ ყველაფრის მერე რაღა უნდა გაგვიკვირდეს. ისინი ქვეყნის ინტერესების დაზიანებას არაფრად მიიჩნევენ, რათა თავიანთი ინტერესები გაატარონ.

— ბატონო რევაზ, შვიდ ივნისს სომხეთში არჩევნები გაიმართა. როგორ შეაფასებთ დამდგარ შედეგს?

— სიმართლე გითხრათ, სომხეთში გამართული არჩევნების შედეგებზე საუბარი ასე მარტივი არაა. ბუნებრივია, მხარეები ეცადნენ, არჩევნებზე გავლენები კიდევ ერთხელ მოეხდინათ, თუმცა, ვფიქრობ, სიურპრიზები სწორედ არჩევნების შემდგომ გველის, რომელშიც 49,81%-ით ფაშინიანის პარტიამ გაიმარჯვა, თუმცა რამდენად შეძლებს უმრავლესობის მოპოვებას, ეს ცალკე საკითხავია. ჩემთვის გაუგებარია, რეალურად, გარდა რუსეთის ყურადღების გადატანისა, რა ინტერესი აქვს, მაგალითად, დასავლეთს. რუსეთის რეაქცია გამოხატულია ფაშინიანის მიმართ ულტიმატუმების სახით, რაც ყველამ ვიხილეთ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოსთან მიმართებით, როცა ჩვენ შევეცადეთ, განსხვავებული პოლიტიკური კურსი გვქონოდა, რუსეთს ბევრად მკაცრი რეაქცია ჰქონდა. არასდროს დამავიწყდება არამარტო სანქციების დაწესება და ჩვენს პროდუქციაზე ემბარგოს დადება, არამედ საბარგო თვითმფრინავით გამოყრილი საქართველოს მოქალაქეები. სომხეთისგან პუტინი, ჯერჯერობით, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ელოდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. აშკარაა, საუბარი ბუნებრივი აირის გაძვირებაზეც არის. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს, ირანის სახით, ალტერნატიული წყარო აქვს.

თამარ შველიძე

P.S. ფაშინიანი 8 ივნისის დილიდანვე ოპოზიციის წარმომადგენლების დაკავებით იმუქრება, ხოლო გუშინ, არჩევნების დროს, ექვსი ოპოზიციონერი დააკავეს. ჩნდება კითხვა „დემოკრატიის მცველ“ ევროპელებთან: ფაშინიანის შემთხვევაში ეს პრობლემად არ ითვლება, რადგან „თქვენიანია“, თუ როგორ მუშაობს ეს სტანდარტი? თუ საქმე სომხეთის ევროპასთან გეოგრაფიული კავშირის მნიშვნელობას ეხება, როგორც ამას ფრაუ ურჩხულა ფონ დერ გენოციდიც აღნიშნავდა? მოკლედ, სომხეთი ნაცნობ წრეზე მიდის და საქართველოს არცთუ შორეულ წარსულს მაგონებს. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ასე იყენებენ სომხებს, რომლებიც ჩვენზე უფრო რთულ გეოპოლიტიკურ და ჩაკეტილ გეოგრაფიულ გარემოში არიან. რეალობას კი სხვაგვარად წარმოაჩენენ და ამისთვის დასჭირდათ სიმბოლური კონფერენციები, რეალობას მოწყვეტილი არარელევანტური ევროპელი ლიდერების ვიზიტები და არაფრის მომცემი რუბიოს 40-წუთიანი სიაფანდი ჩაფრენა აეროფლოტში. საბოლოოდ, ეს ყველაფერი უფრო შოუს ჰგავდა. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, თუმცა ამ ეტაპზე რეალობა სომხეთისთვის ნამდვილად არ ჩანს სახარბიელო.

რას გულისხმობს რუბიოს „დავალებები“ და რა დაიწუნა პრემიერმა

საერთო გაზეთთან საქართველო ამერიკის ამჟამინდელი ურთიერთობა პოლიტოლოგმა არჩილ სიხარულიძემ შეაფასა.

- ბატონო არჩილ რა დავალებები მისცა აშშ სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ საქართველოს?

- არა მგონია, რომ ამ დავალებებში, როგორც ბევრს მიაჩნია, შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე რუბიოს მოსაზრებები იყოს. ეს არის სუფთა გეოპოლიტიკური ფაქტორი და პირველი შეკითხვა, რომელსაც მეც დავუსვამდი კობახიძეს:

ბოლოსდაბოლოს, საითკენ მიდის საქართველო? ამიტომ, ერთი მხრივ, „ქართულ ოცნებაში“ საუბრობენ პრაგმატულ პოლიტიკაზე, მეორეს მხრივ, იმაზე, რომ საქართველო ამერიკის და ევროპის ერთგულია, თუმცა მესამეს მხრივ, აღრმავებენ ურთიერთობას ჩინეთთან და ანაკლიის პორტს აშენებენ ჩინეთის დახმარებით. ეს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია, როგორც არ უნდოდეს „ქართულ ოცნებას“ ამის არაღიარება. ჩემი აზრით, „დავალება“ ეს არ არის, შეკითხვა იქნებოდა, საითკენ მიდიხართ, ბოლოსდაბოლოს და რა არის თქვენი მკაფიო ხედვა.

- რატომ გაბრაზდა პრემიერი და თქვა, საქართველო არ არის სკოლის მოსწავლე, რომ საშემოდგომო გამოაყოლოო?

- რაც შეეხება კობახიძის გაბრაზებას, ეს გაბრაზება კი არა, ეს უფრო ოპოზიციისთვის გაცემული პასუხია, რადგან ოპოზიციას მიაჩნია, რომ მარკო რუბიო მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გაათავისუფლოს ის მსჯავრდებულები, ვინც მათ პოლიტპატიმრებად გამოაცხადეს. არ ვიცი, რა „დავალებებზე“ შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც საქართველო არც ევროკავშირის და არცერთი სხვა კავშირის წევრი ოფიციალურად არ არის და ჩვენ დავალებებს ვერ მოგვცემენ. ამას ამბობენ ჩვენი კოლეგებიც. არის რაღაც კონკრეტული ხედვები, ამ ხედვებს თუ არ ეთანხმებით, მაშინ ვერ შევთანხმდებით, თუ ეთანხმებით - მაშინ შევთანხმდებით. სიტყვა „დავალებები“, ჩემი აზრით, შიდა პოლიტიკური დაპირისპირებებისთვის არის გამოყენებული. როგორ შეიძლება მარკო რუბიომ რაიმე დაავალოს კობახიძეს? რუბიო არის სხვა ქვეყნის წარმომადგენელი და არა კობახიძის ხელმძღვანელი.

- ზოგადად, რა ნიშნულზეა საქართველო-ამერიკის ურთიერთობები და როგორია თქვენი პროგნოზი?

- ჩემი პროგნოზით, ოპოზიციას ძალიან ეშინია იმისა, რომ მარკო რუბიო ბოლოს იტყვის, კობახიძე ჩემი მეგობარიაო, ქართულ შიდა პოლიტიკაში კი უპირატესობა ენიჭება იმას, რას ამბობენ და არა იმას, რას აკეთებენ. და სწორედ ამის ეშინიათ. ამიტომაც არის ასეთი ბრძოლა და კამათი იმაზე, ვინ ვის შეხვდება, რას იტყვის რუბიო და ვის რა "დავალებას" მისცემს. თუ რუბიო იტყვის, რომ კობახიძეს ვაღიარებო, ოპოზიციისათვის ეს არის უზარმაზარი დარტყმა, რადგან მათი ხედვა, რომ ამერიკა მათ გვერდითაა, უპირველესად დაინგრევა ამომრჩევლის წინაშე. "ქართული ოცნებისთვის" ეს იმისთვის არის საჭირო რომ მისი ხედვა, რომლითაც საქართველომ აირჩია, ეგრეთწოდებული პრაგმატული პოლიტიკა და ჯიბრში ჩაუდგა ჯერ ჯო ბაიდენის მთავრობას და შემდეგ ევროკავშირის დღევანდელ ბიუროკრატიას, მართებულია. ამით "ქართულ ოცნებას" სურს, რომ მიიღოს ამერიკული ლეგიტიმაცია და თქვას, მე მართალი ვიყავიო.

თუმცა, როცა ურთიერთობებზეა საუბარი, ეს ურთიერთობები ყოველთვის იყო გეოპოლიტიკური და რიტორიკული. საქართველო-ამერიკის ურთიერთობებში არაფერი წერია არც უვიზო მიმოსვლაზე, არც რამე შეღავათებზე, ეს იყო გეოპოლიტიკური ერთობის საბუთი, სადაც ჩვენ ვაცხადებდით, რომ ერთმანეთი გვიყვარს. დღეს კობახიძეს სურს, რომ რეალურ ურთიერთობებში რუბიომ არა მხოლოდ თქვას, მე მიყვარს კობახიძე და მისი მოკავშირე ვარ, არამედ მიიღოს დამატებითი მექანიზმები. მაგალითად, მარტივი სავიზო საკითხი, პირდაპირი ფრენები. რაღაცა ბენეფიტი უნდა მოჰქონდეს ამას, გარდა ნომინალური საუბრისა. ჩვენი ურთიერთობები ყოველთვის იყო ნომინალური - ჩამოვიდნენ ჯორჯ ბუში, ჯო ბაიდენი და ორივემ გვითხრა, საქართველო მიყვარსო და წავიდნენ. ამის მიღმა ჩვენ არაფერი რეალური არ გვქონდა. კობახიძის მიზანია, რომ რუბიომ არა უბრალოდ „მწვანე შუქი“ აგვინთოს: გესაუბრებით და გაძლევთ უფლებას, თქვათ, რომ ამერიკა გაღიარებთო, არამედ ის, რომ "ქართული ოცნების" პოლიტიკამ დადო რეალური შედეგი - უვიზო მიმოსვლის თემების წამოწევა, შეღავათები პირდაპირ ფრენებზე, პირდაპირი კაპიტალი. ამის ნაწილია „ტრამპ თაუერის“ მშენებლობის პროცესი.

ნაზი ბერიძე

მაბრაზებული ლუკაშენკო და ზელენსკის ცინიკური წერილი

მას შემდეგ, რაც უკრაინის ვადაგასულმა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოზე გულის „მობრუნება“ გადაწყვიტა, ახლა ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო ამოიჩემა. თან ისე კი არ ამოიჩემა, მასხრად რომ იგდებენ ხოლმე, არა, ქვეყნის დაბომბვით ემუქრება - უკრაინის შეიარაღებული ძალების უპილოტო საავიაციო სისტემების ძალების მეთაური, რობერტ (მადიარ) ბროვდი გამოიყვანა და გამოაცხადებინა, უკრაინელმა სამხედროებმა ბელარუსის ტერიტორიაზე უკვე 500 სამიზნე განსაზღვრესო. თან არ დაგავიწყდეთ, ბროვდიმ ლუკაშენკოს მოუწოდა, თვალებში ნუ გვეჩხირებიო. ბელარუსის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ 18 მაისს ქვეყანაში დაიწყო ბირთვული იარაღის საბრძოლო გამოყენების ქვედანაყოფების წვრთნები. წვრთნა რუს სამხედროებთან კოორდინაციით ტარდება. აი, ამან გადარია ზელენსკი, ეგრევე გადავიდა მუქარაზე, ამას უპრეცედენტო გამოწვევა უწოდა და საერთაშორისო პარტნიორებს მკაცრი პასუხისკენ მოუწოდა. თავის მხრივ ლუკაშენკო გადაირია, ჯერ ზელენსკი აიგდო მასხრად, მერე კი ასეთი განცხადება გააკეთა:

„მათ შესაძლოა, 500 სამიზნის იდენტიფიცირება შეძლეს — მადლობა ჩვენ, რომ მათთვის 500 სამიზნე გვაქვს, მაგრამ ჩვენ ერთი ძალიან სერიოზული სამიზნე გვაქვს, კონკრეტული კოორდინატებით და ბელარუსთან ძალიან ახლოს, ეს მათაც ესმით. ის 500 სამიზნეს ხედავს - ალბათ, თუ ბრმა არ არის, მეტსაც დაინახავს — მაგრამ მას უნდა ესმოდეს, რომ ჩვენც ვხედავთ, მეორე მხარეს, საზღვართან, ვინ დგას. ეს არის ხალხი, რომელიც ქუჩიდან აიყვანეს, ფაქტობრივად დაატყვევეს, საწყალი უკრაინელები, და ე. წ. ტერიტორიული თავდაცვის სამხედროები, რომლებიც გუშინ მუშები, მანქანების ოპერატორები და კოლექტივის ფერმერები იყვნენ. ესენი რანაირი მებრძოლები არიან? ისინი არიან საზარბაზნე ხორცი“.

თუ ვინმეს აწყობს, დავხუჭოთ თვალები, მაგრამ სად არის სიმართლე? ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ ვიდეოებს, სადაც ასახულია თუ როგორ იჭერენ ახალგაზრდებს ქუჩებში, ტენიან მანქანებში და მიჰყავთ საომრად. რამდენიმე დღის წინ ვნახე ერთი ვიდეო, შეაგდეს ერთი ბიჭი მანქანაში, მიჰყვა მას უკან დედა, კომბლით მისმა ნათესავმა ჩალეწა შუშები, გამოათრიეს და გააქციეს. ასეთმა „ჯარისკაცმა“ სად უნდა იომოს და რატომ უნდა იომოს? ტყუის ახლა ლუკაშენკო? ნამდვილად არ ტყუის. ბელარუსის პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების უდიდესი ნაწილი რუსეთთან ომში თითქმის სრულად არის ფიზიკურად განადგურებული. ლუკაშენკომ ყბედი უწოდა ზელენსკის და გააფრთხილა, თავი დაანებოს პროვოკაციებს, უკრაინას კიდევ ერთი ფრონტი არ სჭირდებაო.

როგორ ფიქრობთ, „ერთ ძალიან სერიოზულ სამიზნეში“ ლუკაშენკო რას გულისხმობს? რა თქმა უნდა, კიევს და სამთავრობო რეზიდენციას.

ამ საქმეში კარგად ჩახედული ადამიანები პირდაპირ მიანიშნებენ, რომ ზელენსკი იწვევს ბელარუსში დისლოცირებულ მძლავრ რუსულ დაჯგუფებას, რომელიც მზად არის უკრაინაში შესაჭრელად, იგი საბაბს ეძებს კიევზე, ჟიტომირზე, ჩერნიგოვზე, ვოლინზე, როვნოზე და ლვოვზე ჩრდილოეთიდან შეტევისთვის. ლუკაშენკო ის კაცი არ არის, მასხარა ზელენსკიმ შეაშინოს და თავის მართლება დააწყებინოს.

ქართველი აკაცუკები კვლავაც „ფორმაში“ არიან, ისინი უკანასკნელი სიტყვებით წყევლიან ლუკაშენკოს და უწინასწარმეტყველებენ, რომ პუტინივით მასაც ბუნკერში ამოხდება სული. ეგ იქნება მაშინ, როცა უკრაინული ჯარები შევლენ მინსკში. გაფარჩაკებული „ტვ მთავარი“, რომლისგანაც მხოლოდ ქარდების მკეთებელი საიტიღა დარჩა, ყოველდღე ავრცელებს ინფორმაციას, რომ უკრაინელი სამხედროები ყოველდღე კლავენ 1500-1700 რუს ჯარისკაცს. ეს გრძელდება უკვე თვეების განმავლობაში და წესით, რუსებს თითებზე ჩამოსათვლელი ჯარისკაცებიღა უნდა ჰყავდეთ დარჩენილი. ჯარისკაცებს თავი დავანებოთ, როგორც დავით აქუბარდიას პირადი ანალიტიკოსი, პოლკოვნიკი აკია ბარბაქაძე ამტკიცებს, რუსებს სულ 1200 ტანკი ჰქონდათ და 1500 უკვე უკრაინელებმა გაუნადგურეს.

გასულ კვირას დიდი ამბები ატყდა საყველიეში კი არა, უკრაინაში - ზელენსკიმ, რომელიც ლუკაშენკოს ემუქრებოდა, ვლადიმირ პუტინს მიმართა, ომი დავამთავროთ, უკვე დროაო. აეგრე, რაااა, დაიწყეს, ორი მილიონი ადამიანი გაწყვიტეს, 45-მილიონიანი ქვეყანა 15 მილიონამდე დაიყვანეს, მილიონზე მეტი დაასახიჩრეს და ახლა იძახის, დავამთავროთო. კი, მაგრამ პასუხს ვინ აგებს? რა მიიღეს ამ ომით უკრაინელებმა, გარდა ვაებისა და უბედურებისა? ვისთვის და რისთვის გაწირეს თავი?

წერილს ვერ შემოგთავაზებთ, ძალიან ვრცელია. ექსპერტებმა ზელენსკის „ნამუშევარი“ ერთი მხრივ მუქარად შეაფასეს, მეორე მხრივ - ცინიზმად. ერთიც დასაშვებია და მეორეც - ეს არის მუქარაც და ცინიზმიც. როგორც ზემოთ გითხარით, ვადაგასულ მასხარას სურს, ომი დაასრულოს, უფრო სწორად, პუტინმა დაასრულოს და უკრაინაზე ხელებიც დაიბანოს. იცის ზელენსკიმ, რომ პუტინი არც ხელებს დაიბანს და არც ოკუპირებულ ტერიტორიებს დათმობს. ეგებ ეს უნდა ვადაგასულ ზელენსკისაც? თუ ომი დასრულდება, უკრაინაში არჩევნები უნდა ჩატარდეს. მერე? რას იზამს ეს ავანტიურისტი? ხელახლა მოჯდება პრეზიდენტად? არა, მას 1%-იანი შანსიც არ აქვს, მოვა სხვა ხელისუფლება და მას აუცილებლად გაასამართლებს. თუ პუტინი ომს განაგრძობს, მისი საპრეზიდენტო ვადაც გაგრძელდება და შემდეგ კი ან ვირი, ან ვირის პატრონი.

სხვათა შორის, 4 ივნისს პუტინი კრემლში უცხოელ ჟურნალისტებს შეხვდა და მან ისეთი სურათი დახატა, ზელენსკის ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს ოდნავი წარმატების იმედიც კი, მით უფრო, არ უნდა იყოს ცინიკოსობის ხასიათზე. ვნახოთ, რით უპასუხებს პუტინი - ბომბით თუ წერილით? - ალბათ, ბომბით.

გელა ზედელაშვილი

ყველა ეკონომიკური დიალოგი ფასიდან იწყება!

ხელისუფლებას ფასებთან ბრძოლის მხოლოდ ერთი გზა აქვს – განავითაროს ადგილობრივი წარმოება

ფასების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის საქმიანობის, შედეგებსა და ფასებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ჩვენს შეკითხვებს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იური პაპასქუა პასუხობს:

(გაგრძელება,
დას. იხ. „სგ“ N20)

- ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინიციტივა, გადაწყვეტილება თუ სამომავლო გეგმა კულუარებში განიხილება და თანხმობას განხორციელებაზე იქ იღებს. თუ ამ კულუარებში არ ხარ, ნამდვილ მიზეზებსა და შორსმიმავალ განზრახვებზე მსჯელობა მხოლოდ მოსაზრებების გაცვლა გამოვა. მე შემიძლია იმაზე ვილაპარაკო, რაც ზედმიწევნით ვიცი და რაშიც დარწმუნებული ვარ. ფასების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნა ამ ხელისუფლების ყველაზე სარისკო გადაწყვეტილებაა. ამ გადაწყვეტილებებით და საკუთრივ, ფასების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნით, ხელისუფლებამ, თავი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველა ეს საკითხი საყურადღებო, საჭირბოროტო და საზოგადოების ინტერესებისთვის მთავარი ობიექტია. ყველა რეფორმა მტკივნეულია, ხელისუფლება ამ დროს სამართებლის პირზე გადის და ყველას მოსაწონს ვერავინ ვერაფერს შეძლებს. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ საზოგადოება მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დავყოთ, მხოლოდ მომხრეების საამებლად „ვზნათ და ვთესოთ“. რეფორმები, რომლითაც ამ პრობლემების მოგვარება ხორციელდება, ყველაზე ცოტა, გადახედვას საჭიროებს. გარედან ისინი ძლიერ ჰგავს ცბიერი მოყვარის რჩევით და ჩასავარდნად განწირულ პროექტებს - მომხრეების დაცლაზეა მიმართული. ამ შემთხვევაში, ყველაზე ცუდი ისაა, რომ ეს „რჩევა“ შედეგობრივი ანალიზის გათვლის გარეშეა მიღებული. თუ ამის ანალიზის უნარი არ გაქვს, რა მოჰყვება „სხვისი რჩევით“ აგორებულ და პირწმინდად დამანგრეველ ტალღას, ეს ერთი უბედურებაა. უფრო დიდი საწუხარი კი ისაა, რომ საკუთარი გონებით არ შეგიძლია „დაყო და მართო“. დიდი საქმეები ხმაურით არ კეთდება. არც „სხვისი თვალების დასაბრმავებლად რძის ტარებას“ მოაქვს სიკეთე. სახელმწიფოს, მოსახლეობას სჭირდება არა პოპულისტური პოლიტიკა, არამედ ეკონომიკის სისტემური მართვა.

ზედმეტი წინასიტყვაობის გარეშე, პირდაპირ რომ ვთქვა, **ფასების შემსწავლელი კომისიის შექმნით პრობლემების სიმწვავის წარმოჩენა მოხდა. მსხვილმა იმპორტიორებმა და ქსელებმა გაფრთხილების სიგნალი მიიღეს; ფასების თემა პოლიტიკურ დონეზე აიწია. მაგრამ ფასების სისტემური შემცირების, ბაზრის სტრუქტურის გარდაქმნის, მონოპოლიური გავლენების დაშლის ან კარტელური გარიგებების გამოვლენისა და მათზე სათანადოდ რეაგირების, მოსახლეობის სოციალური ტვირთის შემსუბუქების არავითარი ნიშანი ჯერ არ ჩანს და ალბათ, ვერც გამოჩნდება.** მიუხედავად იმისა, რომ 14 წელი საკმარისი დროა, სოციალური პრობლემების მართველობის შედეგები გამოიკვეთოს, კომისიამ ვერ თქვა: ვინ არის არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებელი; სად არის კარტელური გარიგებების ნიშნები; ვინ ქმნის არაჯანსაღ მარჟებს; რა კონკრეტული სანქციები იქნება გამოყენებული კანონდამრღვევების მიმართ; როგორი ეკონომიკური პროგრამა შეცვლის ვითარებას. კომისიის დასკვნა უფრო აღწერითია. დასკვნაში ამ ეტაპზე არაფერია ისეთი, რაც გარდატეხას მოახდენს და ვითარებას შეცვლის. ვინც ბაზარს აკონტროლებს, უფრო გამართული მეთოდებით დაიწყებს ფასების მართვას და კლების ტენდენციას ადგილი არ ექნება. კომისიის მუშაობამ დააფიქსირა რომ:

- **საქართველო უკიდურესად იმპორტდამოკიდებულია** და ეს არის თურმე მთავარი მიზეზი, რის გამოც გლობალური შოკი ავტომატურად გადმოდის ფასებში; ლარის ნებისმიერი რყევა სწრაფად აისახება ბაზარზე; ლოგისტიკური პრობლემები ზრდის თვითღირებულებას;
- **ბაზარი მაღალი კონცენტრაციისკენაა მიდრეკილი** და ეს განსაკუთრებით ჩანს: საწვავში; ფარმაციაში; მსხვილ საცალო ქსელებში, თუმცა ღიად არ არის ფორმულირებები „კარტელის“ ან „მონოპოლიური შეთანხმებების“ შესახებ, რადგან ამის დასამტკიცებლად უკვე სამართლებრივი პროცედურებია საჭირო;
- **ფასების ფორმირებაში დიდი წვლილი აქვს არაწარმოებით ხარჯებს:** ტრანსპორტს, საწყობებს, ფინანსურ რესურსებს, ქსელურ მარჟებს, სარეკლამო და ადმინისტრაციულ დანამატებს. მაგრამ ვერ ითქვა, რომ ამ ყველაფერს მომხმარებელი იხდის და არა კომპანია;
- **კომისიამ ხელისუფლებას ფასობრივ პოლიტიკაში „რბილი ჩარევისკენ“ მოუწოდა,** რაც ნიშნავს მონიტორინგს, რეკომენდაციებს, მოლაპარაკებებს ბიზნესთან, საგადასახადო და საბაჟო კორექტირებებს, ანუ ეს არაა „პირდაპირი კონტროლი“ და ბაზარი არ უნდა „დაინგრეს“, ისე უნდა მოხერხდეს ფასების ადმინისტრირება, რაც დროში გაწელილი და საბოლოო ჯამში, პასიური პოლიტიკაა, რომლის გამოც რეალური შედეგები არ დადგება.

კომისიას, ამ ეტაპზე, ფასების შემცირების მექანიზმი არ შეუქმნია, ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლის გეგმა არ წარმოუდგენია და სისტემური გამოსავალიც ჯერ არ ჩანს. ასეთ შემთხვევაში „რბილი ჩარევა“ ძლიერი კონკურენციული პოლიტიკის, ადგილობრივი წარმოების ზრდის, საბაჟო/საგადასახადო ცვლილებებისა და ეკონომიკური განვითარების რეალური სტრატეგიის გარეშე, მხოლოდ პოლიტიკურ განაცხადად დარჩება და მოგვიანებით მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებს თუ გაახსენდებათ პოზიციისთვის წამოსაძახებლად, ფასებს კი კვლავ გარე შოკები და იმპორტდამოკიდებულება განსაზღვრავს. მალე ის არავის გაახსენდება.

კომისიის მიერ პრობლემის დაფიქსირება არავის კომფორტს არ უქმნის და მხოლოდ კითხვებს აჩენს, ვისთვისაა ეს, მმართველი გუნდისთვის? ხელისუფლებამ ეს ისედაც უნდა იცოდეს; საზოგადოებისთვის? - მოსახლეობა ამას ყოველდღე საკუთარ ზურგსა და ჯიბეზე გრძნობს; ბიზნესისთვის? - ის თავად ქმნის და ხედავს ბაზრის რეალურ სურათს.

დღევანდელი სამწუხარო რეალობა ასეთია: გვაქვს მაღალი ფასები, იმპორტდამოკიდებულება, ბაზარზე კაპიტალის კონცენტრაცია, დაბალი კონკურენცია და მოსახლეობის სოციალური წნეხი. აუცილებელია, რეალური გარდამტეხი ეკონომიკური ინსტრუმენტის შექმნა, რათა შედეგი მიიღწეს.

ექსპერტთა ნაწილი, ფასების პრობლემასთან დაკავშირებით გამოსავალს გადასახადების - აქციზის, სურსათზე დღგ-ის შემცირებაში ხედავს. თეორიულად ეს შესაძლებელია, პრაქტიკულად კი - ნაწილობრივ და ისიც საეჭვოა.

თუ სააქციზო საქონელზე აქციზი, სურსათზე დღგ შემცირდება, პროდუქციის თვითღირებულება და გასაყიდი ფასიც შემცირდება, ბიზნესს მიეცემა შესაძლებლობა, ფასი დაწიოს. მაგრამ **გადაეცემა თუ არა ეს შეღავათი საბოლოო მომხმარებელს?** - მთავარი შეკითხვა და პრობლემა სწორედ აქ არის. საქმე ის არის, რომ ჩვენი ბაზარი არასაკმარისად კონკურენტულია, გვაქვს კაპიტალის მაღალი კონცენტრაცია და ცოტა მოთამაშეა. ამის გამო, შესაძლებელია, გადასახადის შემცირების სარგებელი მთლიანად მომხმარებელმა ვერ მიიღოს და მისი ნაწილი ბიზნესის მარჟაში დარჩეს. დროთა განმავლობაში კი ინფლაციური პროცესები გადასახადების შემცირების ეფექტს მთლიანად შეიწოვს, ბიუჯეტიც შემოსავალს დაკარგავს და მომხმარებელიც ვერაფერს იგრძნობს. თუმცა არსებობს მეორე მხარეც. საქართველოში სურსათი სოციალური საკითხია და ამიტომ მიზნობრივ საგადასახადო შემოსავლებს, პირველადი მოხმარების პროდუქციაზე დაბალ გადასახადებსა და დროებით საგადასახადო კორექტირებებს გარკვეულ პერიოდში ექნება ეფექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება მართლაც დროებითი, მიზნობრივი და მკაცრ მონიტორინგს გაივლის.

„საოჯახო კალათა“ - ეს ბიზნესის ინიციატივაა და შერჩეულ ქსელებში, გარკვეულ პროდუქტებზე მუდმივ რეჟიმში სპეციალურ, შემცირებულ ფასებს ითვალისწინებს. ეს შედარებით პრაქტიკული და რეალისტური ნაბიჯია, მაგრამ „საოჯახო კალათა“ ვერ იქნება სისტემური გამოსავალი თუნდაც იმიტომ, რომ ის მოიცავს მხოლოდ შერჩეულ პროდუქტებს; ამ ინიციატივაში მარკეტინგული ხრიკი ზომაზე მეტია და სარეკლამო ინსტრუმენტად გამოიყენება; ამ შერჩეულ პროდუქტებზე ფასდაკლებიდან დანაკარგს სხვა პროდუქტებზე ფასნამატიდან ამოიღებენ (ბიზნესის ბუნება ასეთია: წაგებაზე ვერ იმუშავებს და ვერც ქველმოქმედი იქნება. მისი მთავარი ამოცანაა მოგების მიღება და სხვა მას არაფერი ადარდებს). ეს გარემოება მთლიან ინფლაციას ვერ შეცვლის. თემა ძალიან დიდია და ყველა საკითხზე დეტალურად საგაზეთო პუბლიკაციაში ვერ ვისაუბრებთ. ერთგვარი შეჯამების სახით კი შეგვიძლია ვთქვათ: **ჩემი აზრით, სახეზეა შემდეგი სურათი: ხელისუფლება რადიკალურ ნაბიჯებზე ვერ წავიდოდა, რადგან მაშინ სრულ ეკონომიკურ დესტაბილიზაციას მივიღებდით; „რბილი ჩარევა“ ეკონომიკურად უფრო უსაფრთხოა, მაგრამ სუსტი ეფექტი აქვს; გადასახადების შემცირება შეიძლება ნაწილობრივ დაეხმაროს ფასებს, მაგრამ ავტომატური გარანტია არ არის; „საოჯახო კალათა“ საზოგადოებრივად სასარგებლო ინიციატივაა, თუმცა არა სისტემური გამოსავალი. მთა-**

ვარი პრობლემა: იმპორტდამოკიდებულება, სუსტი ადგილობრივი წარმოება, დაბალი კონკურენცია და მოსახლეობის შეზღუდული მსყიდველუნარიანობაა, რაც ჯერჯერობით ისევ რჩება.

საბოლოოდ, ხალხი კეთილდღეობას არა კომისიების არსებობით, არამედ: დაბალი ფასით, სტაბილური შემოსავლით და რეალური ეკონომიკური გაუმჯობესებით აფასებს.

— თქვენი მსჯელობიდან იკვეთება, რომ ფასების შემცირება ასე მარტივი პროცესი არ არის. რამდენად ობიექტურია ის ფასები, რაც ქვეყანაში მოქმედებს?

- დიახ, მარტივი არ არის, თუმცა შესაძლებელია. მე არ მითქვამს, რომ ფასები არ შემცირდება და კვლავ მაღალი იქნება. უბრალოდ, ეს მხოლოდ ფასების შემსწავლელი კომისიის მეცადინეობით ვერ მოხდება. **მაღალ ფასს საქართველოში, ერთდროულად, ობიექტური რეალობაც ქმნის და ბაზრის სუსტი კონკურენციაც.** კარტელური გარიგებებიც და მონოპოლიური შეთანხებებიც არაა გამორიცხული

და არც „ობიექტური მიზეზების“ არსებობაა დამაჯერებელი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ დღევანდელი ფასები სრულად ობიექტურია. რეალობასთან ახლოა მხოლოდ ის ნაწილი, რაც მოდის იმპორტდამოკიდებულებიდან და გლობალური შოკებიდან. არაობიექტურობის ეჭვს აჩენს ის, რომ პატარა ბაზარზე მოთამაშეები ცოტაა. დისტრიბუციის არხები კონცენტრირებულია, მომხმარებელს არჩევანი შეზღუდული აქვს და კონკურენცია ხშირად ფასზე კი არა, მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული. კარტელურ გარიგებებსა და მონოპოლიურ შეთანხმებებზე მინიშნება სამართლებრივად მტკიცებულებას მოითხოვს, ამიტომ პირდაპირ ამის თქმა არასწორია. მაგრამ მათ გარეშეც შესაძლებელია, მსგავსი შედეგი არსებობდეს. ფაქტობრივად, ყველამ იცის, რომ იმპორტს, დისტრიბუციასა და თაროებზე წვდომასაც მხოლოდ რამდენიმე მსხვილი მოთამაშე აკონტროლებს. ყველა ერთმანეთის ფასებს ხედავს, ბაზარი პატარაა, ახალი მოთამაშის შემოსვლა ძვირია. ასეთ გარემოში ფასები შეიძლება შეთანხმების გარეშეც მაღალი დარჩეს.

რესურსები არსებობს და ფასების შემცირება ნამდვილად შეიძლება. თუ სახელმწიფოს უნდა ფასების რეალური შემცირება, მან უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც: კონკურენცია ბიზნესს აიძულებს, ფასი დაწიოს; მომხმარებელს მეტი არჩევანი უნდა გაუჩნდეს; ადგილობრივი წარმოება უნდა ამოქმედდეს და გაზარდოს მიწოდება; ახალი მოთამაშეები შემოვიდნენ ბაზარზე; ეკონომიკა ნაკლებად უნდა იყოს იმპორტზე დამოკიდებული. **მარტივად რომ ვთქვათ, ფასის შემცირების ყველაზე ძლიერი ძალა კონკურენციაა.**

არსებობს ალტერნატიული გზაც — თუ ფასები სისტემურად ვერ მცირდება, სახელმწიფოსა და ეკონომიკის ამოცანა ხდება არა მხოლოდ „ფასების დაწევა“, არამედ: **ადამიანის რეალური ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.** ანუ, **ფასების შემცირების ალტერნატივა ხშირად არის: შემოსავლების ზრდა; სოციალური დაცვის გაძლიერება, ცხოვრების ხარჯის ნაწილობრივი კომპენსირება და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება.** ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც პატარა ბაზარი, მაღალი იმპორტდამოკიდებულება და გლობალური ფასების ძლიერი გავლენაა.

ფასების შემცირების უნივერსალური და რეალური გზა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაა. სწორედ ამ საკითხზე უნდა გამოვიყენო ჩემთვის გამოყოფილი საგაზეთო რესურსი. უწინარესად, უნდა განვაცხადო, რომ **საქართველოში მაღალი ფასების, სიღარიბის, დაბალი მსყიდველუნარიანობის, იმპორტდამოკიდებულებისა და ყველა სხვა სოციალური უკმაყოფილების საერთო მიზეზი ერთია: ქვეყანა საკმარისად არ აწარმოებს. ეს არის თითქმის ყველა პრობლემის საწყისი და გადაწყვეტის გასაღებიც.** როცა ქვეყანა ბევრს მოიხმარს, ცოტას აწარმოებს და ძირითადად უცხოურ პროდუქციაზეა დამოკიდებული, მაშინ ფასებს გარედან მიღებული შოკები განსაზღვრავს; ვალუტის რყევა ყველაფერზე მოქმედებს; დასაქმება სუსტია; რეგიონები ცარიელდება; მოსახლეობის შემოსავალი ვერ იზრდება და ქვეყანა მუდმივად მოწყვლად მდგომარეობაში რჩება. ამიტომ გამოსავალი საბოლოოდ მაინც ადგილობრივად მრეწველობის განვითარებამდე დადის. მაგრამ აქ მთავარი შეკითხვა ჩნდება. როგორ უნდა განვითარდეს ადგილობრივი წარმოება? ცხადია, ეს ლოზუნგებით, მოწოდებებით ან დეკლარირებით არ მოხდება. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც წარმოება: მომგებიანი, დაცული, ტექნოლოგიურად შესაძლებელი და გრძელვადიანად სტაბილური იქნება.

ძალაუნებურად მიწევს და უნდა ვთქვა, რომ ჩვენ გვქონდა მერწველობის ყველა დარგი და შორს რომ არ წავიდეთ, მთელ საბჭოთა სივრცეში ყველაზე განვითარებული ეკონომიკა საქართველოს გააჩნდა. გარედან თავსმოხვეული და გაუაზრებელი დამოუკიდებლობის, ზღვარსგასული თავისუფლების თუ ეროვნული აღტკინების ზეობის სანაცვლოდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში პირწმინდად განადგურდა უნიკალური ქონება, გამოცდილება და მეხსიერებაც. დღეს საქართველო ნედლეულს ყიდის და მზა პროდუქტს ყიდულობს. ეს ეკონომიკურად წამგებიანი მოდელია. რეალური სიმდიდრე იქმნება: გადამუშავებაში; შეფუთვაში; ბრენდირებაში; ექსპორტში. ჩვენთან ადგილობრივი მწარმოებელი თავიდანვე არათანაბარ მდგომარეობაში დგება. იმპორტიორი კი ხშირად უფრო სწრაფად და ნაკლები რისკით მუშაობს, ვიდრე ადგილობრივი მწარმოებელი. საქართველო - სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანით ერთდროს წარმატებული ქვეყანა, დღეს ამ პროდუქტებს უცხოეთიდან იღებს. ეს და სხვა გარემოებები წარმოების განვითარებას ხელს უშლის.

არსებული სახით მრეწველობის აღდგენა შუძლებელია და დღეს იმ მასშტაბების დაბრუნება, შესაძლოა, არცაა საჭირო. მაგრამ საკუთარი წარმოების განვითარების გარეშე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ვერ მოხერხდება.

როცა წარმოების განვითარებაზე ვაკეთებთ აქცენტს, პირველყოვლისა, ვგულისხმობ აგროსექტორს. საქართველო ოდითგან აგრარული ქვეყანა იყო და ახლაც ეს მიმართულება უნდა იყოს ძირითადი. სწორედ ამ სფეროში იქმნება ყველა პროდუქტი, რაც მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობისათვის არის საჭირო.

აგროსექტორის განვითარება იძლევა შესაძლებლობას, მასთან დაკავშირებული დარგები, მათ შორის, კვების პროდუქტების გადამამუშავებელი და ათასი სხვა დარგი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სამსახურში ჩადგეს.

თუ ეს სწორად გაკეთდა, შედეგი არა მხოლოდ ფასების შემცირება იქნება, არამედ მივიღებთ: მეტ დასაქმებას; მაღალ ხელფასებს; რეგიონების განვითარებას; ექსპორტის ზრდას; ლარის გამყარებას; იმპორტდამოკიდებულების შემცირებას და ეკონომიკურ უსაფრთხოებას. რაც მთავარია: ფასები უფრო სტაბილური გახდება. ქვეყანა აღარ იქნება ასე მძიმედ დამოკიდებული: ომებზე; სანქციებზე; ლოგისტიკურ კრიზისებზე; უცხოურ ბაზრებზე.

თუ საქართველო შეძლებს: ადგილობრივი წარმოების, გადამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, და მცირე/საშუალო საწარმოების გაძლიერებას, მაშინ ფასებიც უფრო დაბალანსდება, შემოსავლებიც გაიზრდება და ეკონომიკური სტაბილურობაც რეალური გახდება.

თამარ შველიძე

სურათები: სოფელი — მიწაზე მომუშავე ხალხი, ჩაის ან თხილის, მანდარინის ან რამე მსგავსის კრეფის პროცესი, სურსათი, მარკეტები. ლევანჩიკ, იურიმ გთხოვა, დიდი სურათები არაა საჭირო, პატარა სურათები ჩასვი და ტექსტი ჩაატიე სრულად როგორმეო.

თამარ შველიძე



გულით მოაზროვნე შემოქმედი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მწერალ რევაზ ინანიშვილის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა, „რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაზე საუბარი ძნელიც არის და სასიამოვნოც, რადგან იგი განწყობილებების მწერალია — მცირე მასალის მეშვეობით, ღრმა შთაბეჭდილებების შექმნას ახერხებს“.

მცირე პროზის ნამდვილი დიდოსტატი, გულით მოაზროვნე მწერალი მეგობრებმა გაიხსენეს:

მაყვალა გონაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე: ასეთ დროს ვნატრობ ხოლმე: ნეტავ, ჩვენი შვილიშვილებიც აქ იყვნენ, რომ მათ ვუთხრათ: ბალღნო, თქვენი საქართველო ეს არის. ჩემი საქართველო თითოეული ის ადამიანია, ვისაც აქ ხედავთ. ბედნიერი ვარ, რომ უფალმა სწორედ ასეთ საქართველოში ცხოვრება მარგუნა. ხშირად მსმენია, არსებობს საშიშროება, ფუტკარი თუ გადაშენდა, შეიძლება დედამიწაზე სიცოცხლეც გაქრესო. მე სხვა რამ უფრო მაშინებს. დედამიწაზე შიშიანობის ხანაა. ადამიანებს ეშინიათ ომების, გულგრილობის, სიძულვილის, ვირუსების, ხელოვნური ინტელექტის, მაგრამ მე ყველაზე მეტად იცით, რა მაშინებს? — ვაითუ ისეთი დრო დადგეს, მომავალმა თაობამ რევაზ ინანიშვილის წიგნი გადაშალოს და მისი მოთხრობების წაკითხვისას ყელში ბურთი არ გაეჩხიროს, თვალზე ღვთაებრივი ცრემლი არ მოადგეს და ვერ მიხვდეს, ხელთ რა საგანძური უპყრია.

მიხარია, რომ მე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც რევაზ ინანიშვილს პირადად იცნობდნენ. უზომოდ ბედნიერი ვარ, რადგან ბატონმა რეზომ ერთი მოთხრობა მე მომიძღვნა.

მინდა, რეზო ინანიშვილის სულს ვთხოვო, გვაპატიოს, თუ ჩვენ — ქართველები მის კეთილ გმირებს ნაკლებად ვგავართ. მეცნიერებათა აკადემიაში მისი ხსოვნის პატივსაცემად შეკრებილმა ადამიანებმა დღეს ნამდვილად შეგვიძლია ერთმანეთს ვუთხრათ, რომ რეზო ინანიშვილის გზით მივდივართ, რომელიც სამყაროს სიტყვით კურნავდა. რეზო ინანიშვილის ფრაზით დავასრულოთ — „მწერალი წიგნს უნდა ჰგავდეს, რომელიც ბრძოლის ველზე დადის და დაჭრილებს ჭრილობას უხორცებს“. მან ეს ნამდვილად მოახერხა.

გიორგი გაბუნია, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: საოცარი ხელოვანის — რევაზ ინანიშვილის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასწრება ჩემთვის დიდი პატივია. მისი შემოქმედება საოცრად უბრალოა და, ამავდროულად, ამ უბრალოებაში საოცარი გენიალურობაა. მან საკუთარი შემოქმედებით, გმირების ხასიათით, საზოგადოებას სიკეთე და არნახული ადამიანურობა დაანახა.

მის მიმართ ერს მხოლოდ ორი ემოცია აქვს, უპირველესად, უზადო სიყვარული და მეორე — მადლიერება იმისთვის, რაც მან დაგვიტოვა და რაც იმედს გვაძლევს, რომ რევაზ ინანიშვილის უნიკალური შემოქმედება მოგვცემს შესაძლებლობას, ბევრად უკეთესნი გავხდეთ, ვიდრე დღეს ვართ ან გუშინ ვიყავით.

რეზო მიშველაძე, მწერალი: კინომსახიობთა თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლი ასეთი სიტყვებით მთავრდება: „ღმერთო ჩემო, რა სწრაფად ვქრებით, ერთმანეთის დანახვასაც ვერ ვასწრებთ“. ღონისძიებაზე რომ მოვდიოდი, სწორედ ეს ფრაზა გამახსენდა. დრომ მართლაც თავისი როლი შეასრულა, ბევრი რამ გაიცრიცა, მაგრამ არ მავიწყდება რეზო ინანიშვილის თვალები, საიდანაც სინათლის, სიკეთის სხივი მოდიოდა. დიახ, თვალებში სულ ღიმილი ედგა.

მახსოვს, მე და ზეზვა მედულაშვილი თელავიდან მოვდიოდით და გზად რეზოს ხაშმში გამოვუარეთ. მაღალ ბალახში მოკლე შარვლით ფეხშიშველა იდგა და ცელავდა. ჩვენი დანახვა ძალიან გაუხარდა, გვითხრა: არ დამცინოთ, ბიჭებო, ბაღ-ვენახს მუდმივად მოვლა, ცელს კიდევ ყოველ ათ წუთში გალესვა სჭირდებაო. მერე გაიხსენა: ამას წინათ, ოტია მესტუმრა, ჩემი ცელის ქნევას რომ უყურა, მითხრა, შენ მოცელვა არ გცოდნია, მე მომეცი და უცებ გაგიცელავ ამ ბალახსო. ნახევარი საათი იქნია ცელი და ბალახი უხეირო დალაქის ნამუშევარს დაამსგავსაო. მერე ცელი მომიგდო და მითხრა, აქანა, სხვანაირი ბალახიაო.

რეზო ინანიშვილის შუქი ქართულ მწერლობას არასდროს მოშორდება. მისი შემოქმედება ყოველთვის საჭირო იქნება, ამ ამღვრეულ საქართველოშიც კი, მაშინ, როცა მწერალს, ლიტერატურას ჩვენი მოქალაქე, სამწუხაროდ, ასე გაუგულგრილდა.

14 გვ.

აფხაზეთი „აფსნი“, ხოლო „აფსუა“ აფხაზი არ არის!

გასულ კვირას, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“. რეზოლუციას 2026 წლის სესიაზე 107-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი.

ცნობისათვის, სტრატეგიულმა პარტნიორმა ჩინეთმა მხარი არ დაგვიჭირა, თავი შეიკავა... და, ტაილანდმაც; 26-საუკუნოვანმა „ძმებმაც“... შუა აზიის ქვეყნებმა და არაბულმა სახელმწიფოებმაც...

საქართველოს მთავრობა რომ ხარ, მეზობლად რუსეთი გყავს (და მუდამ გეყოლება) და საგარეო საქმეთა სამინისტროსც გაქვს, რაღაცას ხომ უნდა მიხვდე...

საღერღელი ამეშალა...

ადიღეური მოდგმის ერთ-ერთი ტომისთვის, აფსუებისთვის ისტორიული სათემო სახელის „აფხაზის“ ავტომატურად მირთმევამ, ხოლო აფსუური ენისთვისთვისაც „აფხაზურის“ შერქმევამ, რაც მოგვიტანა, ვხედავთ.

აფხაზეთი „აფსნი“ არ არის, ხოლო „აფსუა“ აფხაზი არ არის!

ბატონი ბიძინა თავაძის „VIVAთ HIშთOღIA: ანუ რას გვიამბობენ მცენარეთა სახელწოდებანი აფსუა-აფხაზთა აბორიგენობაზე საქართველოში“ ძალზე გასაგებად ხსნის აფხაზ-აფსუათა სადავო აბორიგენობას.

ნამდვილად არ ვიცი, უძვირფასესი ენობრივ-ლექსიკური მასალები, რომელიც დაცულია ორ მონოგრაფიაში, იაკობ მედვედევის „კავკასიის ხეები და ბუჩქები“ (სამჯერ დაიბეჭდა მეფის რუსეთსა და რევოლუციის შემდგომაც თბილისში) და ე. წ. გერმანელ კალონისტთა ოჯახში დაბადებული ადოლფ კრისტიან როლოვის „კავკასიის ველური მცენარეები“ (დაიბეჭდა თბილისში 1908 წელს), რატომ არ არის ცნობილი და რატომ არავინ ცდილობს მათ შესწავლას.

ი. მედვედევი 1867 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოში და მუშაობდა იმპერიის მიწათმოქმედების დეპარტამენტში – ჯერ მეტყევედ, შემდეგ კი ამიერკავკასიის რწმუნებულად, ხოლო ა. როლოვი დაიბადა და გაიზარდა რა თბილისში, 1898-1918 წლებში იყო თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, შემდეგ „გპი“-ს პროფესორი – ამდენად, მათი ნაშრომები მაღალი სამეცნიერო ღირებულებისაა, სანდო და ფასეულია.

ამ ნაშრომებიდან ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მცენარის სახელწოდებას შევეხებით, რადგან ამ ორი უზარმაზარი მონოგრაფიის მიმოხილვას თავად სჭირდება მონოგრაფია.

ენათმეცნიერებიდან ცნობილია, რომ ამა თუ იმ ენაში არსებული მცენარეთა სახელწოდებანი ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს ამ ხალხის ცხოვრების წესის, თუ გნებავთ, აბორიგენობისა და მიგრაციის შესახებ.

როგორც ი. მედვედევის, ისე ა. როლოვის მიხედვით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აფსუური ენა წიწვიან ხე-მცენარეებს ნაძვს, ფიჭვს, სოჭს ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებს და სამივეს ერთი და იმავე სახელით – „აფსა“ მოიხსენიებს, ხოლო ერთი მეორისაგან გენეტიკურად შორს მდგომ სახეობებს ფიჭვსა და სოჭს, ასევე, მოიხსენიებს მეორე საერთო სახელითაც – „ამზა“. ცნობისათვის: წიწვიანების ზემოხსენებული სამივე სახეობა გავრცელებულია როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიაშიც, ამასთან, ნაძვი და სოჭი მარტოოდენ მთებში იზრდება, ხოლო ფიჭვი - მთებშიც და ბარშიც.

თუ ქართულ ენობრივ სინამდვილეს მივმართავთ, აღმოჩნდება შემდეგი: ქართულად: ნაძვი და ელატი; ჭანურად და მეგრულად – ნუზუ,სვანურად – ნეზვრა და ღუმირ.

ფიჭვი: ქართულად და მეგრულად – ფიჭვი, სვანურად – გოგიბ.

სოჭი: ქართულად სოჭი და ჩიხრი; მეგრულად – გოგიბი, სვანურად – ნენზე.

მოყვანილი მასალიდან ცხადია, რომ ქართველური ენები მკაფიოდ განასხვავებენ სამივე წიწვიან სახეობას. ისმება შეკითხვა, რატომ ვერ განასხვავებს აფსუური ენა ამ მკვეთრად განსხვავებულ წიწვიანებს?

საინტერესოა ის გარემოება, რომ ამავე ავტორთა მიხედვით, ყაბარდოულად და ჩერქეზულად ნაძვისა და სოჭის სახელებად მითითებულია „ფსეი,“ რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აფსუებმა თავის დროზე სწორედ ამ ენებიდან ისესხეს წიწვიანების აღმნიშვნელი სახელი და დაურთეს თავიანთი ცნობილი წინსართი „ა“. ამგვარად უნდა იყოს მიღებული აფსუურში ყველა წიწვიანის საერთო სახელწოდება „აფსა.“

ასევე საინტერესოა ის გარემოებაც, რომ 1999 წელს თბილისში გამოცემული „ქართულ-აფხაზური სასაუბროს“ მიხედვით, აფსუურში (და არა აფხაზურში) დღეს ხეობასაც „აფსა“ ჰქვია, ხოლო წიწვიან ტყეს კი „აფსარა“.

მართალს ბრძანებს ბატონი ბიძინა — მეტისმეტია ნაძვის, ფიჭვის, სოჭისა და წიწვოვანი ტყის ერთი და იმავე სახელით მოხსენიება. მასასადამე, აფსუები თავის დროზე არ იცნობდნენ ამ წიწვიან ხე-მცენარეებს (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი), რადგან ისეთ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, სადაც ეს წიწვიანები არ იყო გავრცელებული, რაც სრულიად შეესაბამება და ადასტურებს ცნობილი რომაელი მოღვაწის და მეცნიერის პლინიუს უფროსის ცნობის სისწორეს, რომ აფსუები ჩვ. წ. I საუკუნეში ცხოვრობდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთს იმიერკავკასიაში – კასპიისპირეთში, დაახლოებით დღევანდელი ყალმუხეთის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ, მიგრაციისას, ჩერქეზების ან ყაბარდოელებისაგან ისესხეს წიწვიანი ხე-მცენარეების სამი სახეობისათვის საერთო სახელწოდება – „აფსა.“

თუ საწინააღმდეგოს დავუშვებთ და აფსუებს აფხაზეთის აბორიგენებად ჩავთვლით, როგორც ამას ჩვენი ზოგიერთი ვაიმეცნიერი აკეთებს, მაშინ ძნელი ასახსნელი იქნება ის გარემოება, თუ როგორ მოხდა, რომ ამ ტერიტორიაზე მოსახლე ქართველურმა ტომებმა ქართებმა, სვანებმა, მეგრელებმა, ჭანებმა – აქ გავრცელებულ წიწვიანებს – ნაძვს, სოჭსა და ფიჭვს ცალ-ცალკე განსხვავებული სახელები შეარქვეს, ხოლო აფსუებმა, არა თუ ცალ-ცალკე სახელები ვერ დაარქვეს თავიანთ ენაზე ამ ხე-მცენარეებს, არამედ ვერც კი შეძლეს, ესესხათ თავიანთი მეზობლებისაგან – ქართველური ტომებისაგან კავკასიონის ქედს გადაღმა გადავიდნენ და იქიდან „ჩამოიტანეს“ მათი საერთო სახელი, რაც მეტად გასაკვირია.

კიდევ უფრო პარადოქსული და საინტერესოა მუხისა და ვაზის სახელწოდებანი აფხაზურ ენაში. ი. მედვედევისა და ა. როლოვის მიხედვით, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის აფსუური ენა ერთსა და იმავე სახელს უწოდებს ერთმანეთისაგან გენეტიკურად შორს მდგომ მცენარეებს მუხასა და ვაზს — ორივეს ჰქვია „აჯ“.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი აფხაზეთში, ვაზი ტყეშიც კია გავრცელებული, ხეებზეა შესული და ამ დროს ათეულ საუკუნეობით აქ მცხოვრები ტომი მას მუხისგან ვერ განასხვავებს?

ამავე ავტორების მიხედვით, ჩერქეზულად მუხას ჰქვია „ჯიჰაი,“ ხოლო ვაზს ბალყარულად „ჯოზუმ“. სავარაუდოდ, აფსუა-აფხაზებმა სწორედ ამ ენებიდან ისესხეს მუხისა და ვაზის საერთო სახელწოდება „აჯ“.

თუ აფსუა-აფხაზები მართლაც პირველი საუკუნიდან საქართველოში აბორიგენები იყვნენ, აფსუური ენა რატომ ვერ განასხვავებს მუხასა და ვაზს ერთმანეთისაგან, ან რატომ ისესხა ეს სახელწოდება მაინცდამაინც ჩრდილოკავკასიელი ხალხისაგან და რატომ ვერ შეითვისა-ისესხა მეზობელი ქართველური ტომებისაგან, თუკი მართლაც მეზობლობას ჰქონდა ადგილი? ქართველური ენები ხომ შშვენივრად განასხვავებენ ერთმანეთისაგან ერთსაც და მეორესაც:

ქართულად – ვაზი; ჭანურად და მეგრულად – ბინეხი, ბენეხი; სვანურად – ვააზ, ღვააზ;

ქართულად – მუხა; ჭანურად – ჭკონი; მეგრულად – ჭყონი; სვანურად – ჯირა, ჯიჰრა. აი, რა მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ვაზისა და მუხის სახელწოდებანი ქართველურ ენებში და რაოდენ საოცარია, რომ ეს მრავალფეროვნება ვერ შეამჩნია ე. წ. „აბორიგენულმა“ აფსუურმა ენამ და აქაც მაინცდამაინც ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთ მიმართა „სასესხებლად“.

ზემოთნახსენები „ქართულ-აფხაზური სასაუბროს“ (1999) მიხედვით (უფრო სწორი იქნებოდა მას ერქვას „ქართულ-აფსუური სასაუბრო“), ამჟამად მუხას კვლავ ეწოდება „აჯ“, ხოლო ვაზს „აძახუა“; მაგრამ ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ ი. მედვედევი და ა. როლოვი სახელწოდება „აძახუას“ საერთოდ არ იცნობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სახელწოდება აფსუურმა ენამ გვიან შეიტანა, რადგან ი. მედვედევის შრომა ბოლოს 1919 წელს გამოიცა.

ვაზის დღევანდელი აფსუური სახელწოდება „აძახუა“ არის ქართული ძახველის აფსუური ვარიანტი და იგი შესულია აფსუურში მეოცე საუკუნის ოციანი წლების შემდეგ. ძახველსაც თავისებურად მტევანს მიმსგავსებული ნაყოფი აქვს და, აქედან გამომდინარე, მისი სახელი დაარქვეს ვაზს.

ი. მედვედევისა და ა. როლოვის მონოგრაფიებში უამრავი საინტერესო მასალაა ენობრივი თვალსაზრისით. ავიღოთ ერთმანეთისაგან ისეთი განსხვავებული ხე-მცენარეები, როგორიცაა: წიფელი, იფანი და ჭადარი. ამ განსხვავებულ მერქნიან მცენარეებს აფსუურ ენაში ეწოდება ერთი და იგივე სახელი – „აშვ“, იფანს აქვს მეორე სახელიც „აჩამხა“. ქართველურში კი ასეთი სურათი გვაქვს:

წიფელი – ქართულად წიფელი; ჭანურად – წიფური, წიფრა; მეგრულად – წიფური; სვანურად კი – წიფ და წიფრა;

იფანი – ქართულად და მეგრულად – იფნი, კოპიტი, იფანი;

ჭადარი – ჭადარი და ჭანდარი. საინტერესოა ის გარემოება, რომ ჭადარი საქართველოში უძველეს დროიდან გავრცელებულად ითვლება და ჩვენში გამოიყენებოდა მისი სპარსული სახელიც – ჩინარი, რაც პოეზიაშიც კია ასახული. „ქართულ-აფხაზური სასაუბროს (1999 წ.) მიხედვით, დღეს ჭადარს აფსუურში ეწოდება აჭანდარი. როგორ მოხდა, რომ საუკუნეების განმავლობაში აფსუურმა ენამ აქამდე ვერ შეამჩნია ჭადარი და მისი სახელი მხოლოდ მე-20 საუკუნეში ისესხა.

წიფლის, იფნისა და ჭადრის ერთი და იგივე სახელით მოხსენიება და ჭადრის სახელწოდების სესხება მე-20 საუკუნეში კიდევ ერთი თვალნათლივი მაგალითია იმისა, რომ აფსუა-აფხაზები საქართველოს აბორიგენები არ არიან და მათ ისტორიულ აფხაზებთან და აფხაზეთთან საერთო არაფერი აქვთ.

კიდევ ერთი თვალნათლივი მაგალითი — წაბლი და პანტა მოიხსენიება თითქმის ერთი და იმავე



Voting Started	6/4/2026	3:54:39 PM

Item 32 - A/80/L.73
Status of internally displaced persons and refugees from Abkhazia,

AFGHANISTAN	☒ CAMEROON	+ FINLAND	☒ KUWAIT	☒ NEPAL	☒ SAUDI ARABIA	+ UKRAINE
+ ALBANIA	+ CANADA	+ FRANCE	☒ KYRGYZSTAN	+ NETHERLAN...	☒ SENEGAL	☒ UNITED ARA...
☒ ALGERIA	☒ CENTRAL AF...	GABON	LAO PDR	+ NEW ZEALAND	☒ SERBIA	+ UNITED KING...
+ ANDORRA	☒ CHAD	+ GAMBIA	+ LATVIA	— NICARAGUA	+ SEYCHELLES	☒ UNITED REP T...
☒ ANGOLA	+ CHILE	+ GEORGIA	☒ LEBANON	NIGER	+ SIERRA LEONE	+ UNITED STAT...
+ ANTIGUA-BA...	☒ CHINA	+ GERMANY	☒ LESOTHO	☒ NIGERIA	+ SINGAPORE	+ URUGUAY
+ ARGENTINA	+ COLOMBIA	+ GHANA	+ LIBERIA	+ NORTH MAC...	+ SLOVAKIA	☒ UZBEKISTAN
+ ARMENIA	COMOROS	+ GREECE	LIBYA	+ NORWAY	+ SLOVENIA	+ VANUATU
+ AUSTRALIA	CONGO	+ GRENADA	+ LIECHTENSTEIN	☒ OMAN	+ SOLOMON IS...	VENEZUELA
+ AUSTRIA	+ COSTA RICA	+ GUATEMALA	+ LITHUANIA	☒ PAKISTAN	SOMALIA	VIET NAM
+ AZERBAIJAN	+ COTE D'IVOIRE	GUINEA	+ LUXEMBOURG	+ PALAU	+ SOUTH AFRICA	☒ YEMEN
+ BAHAMAS	+ CROATIA	GUINEA-BISS...	☒ MADAGASCAR	+ PANAMA	SOUTH SUDAN	+ ZAMBIA
☒ BAHRAIN	— CUBA	+ GUYANA	MALAWI	+ PAPUA NEW ...	+ SPAIN	ZIMBABWE
☒ BANGLADESH	+ CYPRUS	+ HAITI	☒ MALAYSIA	+ PARAGUAY	☒ SRI LANKA	
+ BARRADOS	+ CZECHIA	+ HONDURAS	+ MALDIVES	+ PERU	— SUDAN	
— BELARUS	— DEM PR OF K...	+ HUNGARY	MALI	+ PHILIPPINES	+ SURINAME	
+ BELGIUM	DEM REP OF ...	+ ICELAND	+ MALTA	+ POLAND	+ SWEDEN	
+ BELIZE	+ DENMARK	☒ INDIA	+ MARSHALL IS...	+ PORTUGAL	☒ SWITZERLAND	
☒ BENIN	+ DJIBOUTI	☒ INDONESIA	☒ MAURITANIA	☒ QATAR	☒ SYRIAN ARA...	
☒ BHUTAN	+ DOMINICA	☒ IRAN (ISLAMI...	+ MAURITIUS	+ REP OF KOREA	☒ TAJIKISTAN	
BOLIVIA	+ DOMINICAN ...	☒ IRAQ	+ MEXICO	+ REP OF MOL...	☒ THAILAND	
+ BOSNIA-HER...	+ ECUADOR	+ IRELAND	+ MICRONESIA...	+ ROMANIA	+ TIMOR-LESTE	
+ BOTSWANA	☒ EGYPT	☒ ISRAEL	+ MONACO	— RUSSIAN FED...	☒ TOGO	
☒ BRAZIL	☒ EL SALVADOR	+ ITALY	☒ MONGOLIA	RWANDA	+ TONGA	
☒ BRUNEI DAR...	— EQUATORIAL...	+ JAMAICA	+ MONTENEGRO	+ SAINT KITTS-...	+ TRINIDAD-TO...	
+ BULGARIA	☒ ERITREA	+ JAPAN	☒ MOROCCO	+ SAINT LUCIA	☒ TURKIJA	
BURKINA FASO	+ ESTONIA	☒ JORDAN	☒ MOZAMBIQUE	+ SAINT VINCE...	+ TURKIYE	
— BURUNDI	ESWATINI	☒ KAZAKHSTAN	+ MYANMAR	+ SAMOA	TURKMENIST...	
+ CABO VERDE	☒ ETHIOPIA	+ KENYA	☒ NAMIBIA	+ SAN MARINO	+ TUVALU	
+ CAMBODIA	+ FIJI	+ KIRIBATI	NAURU	☒ SAO TOME-P...	☒ UGANDA	

+ IN FAVOUR: 107 — AGAINST: 8 ☒ ABSTENTION: 55

სახელით: წაბლი – ახე, პანტა – ახა. საერთოდ კი, წაბლი ეკუთვნის წიფლისებრთა ოჯახს, ხოლო პანტა – ვარდისებრთა ოჯახს; აფსუურმა ენამ კი ვერც განასხვავა და ვერც ქართველური ენებიდან ისესხა.

წაბლი: ქართულად – წაბლი; ჭანურად -ჭუბური, ჭუბუი; სვანურად – გვიჯ, გვიჯრა, კუცჩ (ი. მედვედევით); მეგრულად – ჭუბური.

რაც შეეხება პანტას, იგი ქართველურ ენებში უამრავი სახელითაა წარმოდგენილი: პანტა, ჭკუტა, კვიჭიჭი, პანტე სხული, კვეტელე სხული; გოწო ვიცხ. წაბლისა და პანტის არც ერთი ქართველური სახელი არ მიესადაგება აფსუურს, რაც მეტად საყურადღებოა, რადგან ორივე ეს სახეობა კავკასიისა და საქართველოს ფლორის აბორიგენია.

აღსანიშნავია, რომ ამავე ავტორთა მონაცემებით, წაბლის ქართული სახელი „წობულის“ ფორმით შესულია დაღესტნურ ენებში, ხოლო ოსურად წაბლს ეწოდება „გურჯიაგ-ტერს“, რაც თავისთავად მეტყველებს მის წარმომავლობაზე.

მე-16-17 საუკუნეების ევროპელი კარტოგრაფების (გასტალდი, ჯენკინსი, ჰონდოუსი) მონაცემებით, ამ პერიოდში აფსუების ტომი მომთაბარეობდა ყუბანის-პირეთსა და აზოვის ზღვისპირეთში, სადაც შეიძლებოდა გაცნობოდნენ ველურ მსახლს – პანტას, მაგრამ, აფხაზეთში შემოსვლამდე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაეცნობოდნენ ჩვეულებრივ წაბლს, თუმცა აუხსნელი რჩება, რა ნიშნით მიამსგავსეს ისინი ერთმანეთს.

ი. მედვედევისა და ა. როლოვის მონაცემებით, აფსუური ენა ასევე ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან ბოტანიკურად სხვადასხვა ოჯახში მყოფ სახეობებს, როგორიცაა ჩვეულებრივი თელა და კავკასიური რცხილა და უწოდებს ერთსა და იმავე სახელს „ახეც“ მაშინ, როდესაც ქართველურ ენებში ამ სახეობების აღსანიშნავად იმდენი სახელწოდება გვაქვს, რომ მათი მოყვანა უკვე ზედმეტად მიგვაჩნია.

ი. მედვედევისა და ა. როლოვის ზემოაღნიშნული შრომები კიდევ მრავალ საინტერესო მასალას შეიცავს, რომელიც შემდგომ განხილვას და ანალიზს საჭიროებს.

ყოველივე ეს სრულიად შეესაბამება და ადასტურებს ცნობილი რომაელი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პლინიუს უფროსის ცნობას იმის შესახებ, რომ აფსუები ახ. წ. I საუკუნეში ცხოვრობდნენ კასპიისპირეთში, ვოლგის შესართავის მახლობლად, დღევანდელი ყალმუხეთის ტერიტორიაზე, რომელიც ნახევრად უდაბნოს წარმოადგენს და სადაც არცერთი ზემოთ აღნიშნული სახეობების მცენარე არ არის გავრცელებული.

რაჭველი ვარ და, ვიღაც ცდილობს, ისედაც გაყალბებული საქართველოს ისტორია იმითიც გამიყალბონ, რომ აფსუები ჯერ სულაც რაჭაში სახლობდნენ და მერე „ქვემოთ“ ჩამოჩოჩდნენ?

იმე, ბეჩა!

მაია ჯელიძე

პოლონეთი აიჯაგრა

გაწყრა ღვთისმშობელი...

პოლონეთის პრეზიდენტს, კაროლ ნავროცკის სურს, რომ უკრაინელ კოლეგას, ვოლოდიმირ ზელენსკის ჩამოერთვას პოლონეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო – „თეთრი არწივის ორდენი“ (**Order of the White Eagle**).

მიზეზი გახდა ზელენსკის 27 მაისის გადაწყვეტილება, უკრაინის სპეციალური ოპერაციების ერთ-ერთი ელიტური დანაყოფისთვის მიენიჭებინა „UPA-ს გმირების“ (უკრაინის მეამბოხე არმიის) სახელი. უკრაინაში UPA-ს ბევრი ადამიანი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად მიიჩნევს, მაგრამ პოლონეთში ეს ორგანიზაცია დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომის დროს ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის რეგიონებში პოლონელი მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მკვლელობებთან. პოლონელი ისტორიკოსების შეფასებით, იმ მოვლენებს დაახლოებით 100 000 პოლონელი ემსხვერპლა.

ნავროცკიმ განაცხადა, რომ ზელენსკის გადაწყვეტილება „მწუხარებით“ მიიღო და თქვა, რომ „ასე არ შენდება ურთიერთობები ერებს შორის“. მისი თქმით, UPA-ს განდიდება ასევე აძლიერებს რუსულ დეზინფორმაციას. ამიტომ მან წამოაყენა წინადადება, რომ ზელენსკის ჩამოერთვას „თეთრი არწივის ორდენი“. საკითხი 8 ივნისს ორდენის საკონსულტაციო საბჭოს უნდა განეხილა, თუმცა, ამ დროისთვის ჯერ არ ვიცი, როგორ გადაწყდა ეს ამბავი.

ეს ჯილდო ზელენსკის 2023 წელს პოლონეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ანჯეი დუდამ გადასცა პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების გაღრმავებისა და უკრაინის თავდაცვისთვის გაწეული ძალისხმევის აღსანიშნავად.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა, დონალდ ტუსკმა გააკრიტიკა ზელენსკის ხსენებული გადაწყვეტილება, თუმცა გააფრთხილა ორივე მხარე, რომ ისტორიულმა დავამ არ უნდა დააზიანოს პოლონეთ-უკრაინის თანამშრომლობა, რადგან ასეთი დაპირისპირება რუსეთის ინტერესებში შედის.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ უკრაინის ელჩი დაიბარა, რათა ოფიციალურად გაეპროტესტებინა გადაწყვეტილება და უთხრა, რომ ეს ნაბიჯი ბევრი პოლონელისთვის ძალიან მტკივნეული იყო.

პოლონეთის პრეტენზიაზე გამახსენდა — ზელენსკიმ და მისმა ბანდამ რაც ჩაიდინეს მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან და სიწმინდეებთან დაკავშირებით, ხსენება არ მინდა, მხოლოდ იმას გავიხსენებ, რაც გასახსენებლად მიმაჩნია.

რაგინდ ურწმუნო ან სხვა რელიგიის მიმდევარი იყოს ადამიანი, თუ ის უფლის მიერ შექმნილია ხატად თვისად, პატივისცემა ექნება სხვათა სიწმინდეების მიმართ თვით ბანდის წევრად ყოფნის დროსაც, მაგრამ ზელენსკი და მისი ბანდა, თვით ბანდის ცნებაშიც კი ანომალიაა...

კიევ-პეჩორის ლავრა მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდეა, რომელიც ცნობილია მიწისქვეშა გამოქვაბულებით (მღვიმეებით), სადაც დასვენებულია წმინდანთა უხრწნელი ნაწილები და დაცულია მრავალი სასწაულმოქმედი ხატი თუ სულიერი საგანძური.

მონასტრის მთავარი სიმდიდრეა მრავალი წმინდანის უხრწნელი სხეული, რომლებიც ორ ძირითად, მიწისქვეშა ლაბირინთში – **ბლიჟნიესა** (ახლო) და **დალნიეს** (შორი) მღვიმეებში განისვენებენ: **წმ. ანტონ პეჩორელის, ილია მურომეცის, ნესტორ მატიანის, ექიმი აგაპიტისა და ალიპი ხატმწერის ნაწილებ**ი.

ლავრის ტაძრებში განთავსებულია საუკუნეების ისტორიის მქონე სასწაულმოქმედი ძვირფასი ხატები. **ღვთისმშობლის მიძინების ხატი** — მთავარი სიწმინდე, რომელიც უშუალოდ ლავრის დაარსებასა და ღვთისმშობლის გამოცხადებას უკავშირდება.

ქართული კვალი — ეპისკოპოსი ანტონი (აბაშიძე): კიევ-პეჩორის ლავრაში წლების განმავლობაში მოღვაწეობდა და იქვეა დასაფლავებული ქართველი სასულიერო პირი, ეპისკოპოსი ანტონი (ერისკაცობაში — თავადი ილია აბაშიძე).

დედამიწაზე არის ოთხი ადგილი, სადაც უფლის დედის განსაკუთრებული კურთხევა გადმოდის. ესენი ღვთისმშობლის წილხვედრი ადგილებია: ივერია, ათონის ნახევარკუნძული, კიევის მღვიმევის მონასტერი და დივეევოს დედათა მონასტერი. ეს კურთხეული ადგილები ერთმანეთთან უხილავი, მტკიცე ჯაჭვით არის დაკავშირებული.

მაცხოვრის ზეცად ამაღლების მერე უფლის მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის სად უნდა ექადაგა ქრისტეს მოძღვრება. ივერია ღვთისმშობელს ხვდა წილად. „ერთ-ერთი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ივერია ღვთისმშობელს სამგზის წილის ყრით ერგო“ (ე. ბუბულაშვილი).

კიევი. XI საუკუნეში ათონის მთაზე, ერთ-ერთ მონასტერში, ცხოვრობდა ჩერნიგოვის გუბერნიის ქალაქ ლუბეჩის მკვიდრი, წარმოშობით მდიდარი ოჯახის შვილი, ბერი ანტონი. წინამძღვარს ღვთისაგან გამოცხადება ჰქონდა, რომ ანტონი ისევ რუსეთში უნდა გაეგზავნა. წმინდა ანტონმა მიმოიარა კიევის სავანეები, მაგრამ საცხოვრებლად არც ერთი არ მოეწონა და უკანვე დაბრუნდა. მრავალი წლის შემდეგ, საღვთო გამოცხადებით, იღუმენმა ანტონი კვლავ კიევში გამოგზავნა. იქ ერთ ბორცვზე მან ღირსი ილარიონის მიერ გამოთხრილი მღვიმე ნახა, მოეწონა და მასში დასახლდა. გავიდა ხანი. გამრავლდა ანტონის საძმო. თორმეტი წლის ბიჭი, თეოდოსი, აქ რომ მოვიდა სამოღვაწეოდ, სრული მამაკაცი და სრული ბერი შეიქმნა.

ერთხელ ღირს ანტონთან ვარიაგი შიმონი მივიდა – ბიძამისს მამამისის სიკვდილის შემდეგ სამშობლოდან გამოეძევებინა. შიმონი კიეველ მთავრებთან ერთად ყივჩაღებს შეებრძოლა და სასიკვდილოდ დაჭრილი ღირსი ანტონისა და თეოდოსის ლოცვით გადარჩა. ახლა სამადლობლად მოსულმა, ღირს ანტონს ოქროს სარტყელი და გვირგვინი გადასცა, რომელიც ერთ დროს მამამისმა მაცხოვრის ქანდაკებას წელზე შემოარტყა და თავზე დაადგა. შიმონს ხმა მოესმა თურმე: ეს გვირგვინი არასოდეს დაიდგა თავზე, წაუღე ანტონს, რომელიც ჩემი დედის სახელზე ტაძარს ააგებსო. ამავე გამოცხადებით, სარტყელი საზომად უნდა ჰქონოდათ წმინდა მამებს, როცა ეკლესიის მშენებლობას დაიწყებდნენ.

გამოხდა ხანი და კონსტანტინოპოლიდან ქვის მთლელები ჩამოვიდნენ, ისინი ტაძრებს აშენებდნენ კონსტანტინოპოლში. ერთხელ მათ შიკრიკებმა აუწყეს, ვლაქერნის ტაძარში დედოფალი გიხმობთო. ქვისმთლელებმა იქ დედოფალთან ერთად უამრავი მეომარი ნახეს. დედოფალმა მათ წმინდა ნაწილები და ოქრო გადასცა და უთხრა: მსურს, ეკლესია ავაგო რუსეთში, კიევში, თქვენ გავალებთ ამ საქმეს, წაიღეთ ოქროს სამი წლის მარაგი, ტაძარს კი საფუძვლად ეს წმინდა ნაწილები დაუდეთო. ღვთისმშობელმა მათ თან თავისი მიძინების ხატი გამოატანა, რომლის სახელობისაც უნდა ყოფილიყო ეს ტაძარი. უფლის დედამ ბოლოს მათ თავისი სახელიც გაუმჟღავნა. კიევში ჩამოსული ქვისმთლელები ამტკიცებდნენ, სწორედ ანტონისა და თეოდოსის ხელით გადმოგვცა დედოფალმა ღვთისმშობელმა ეს ოქროო. ტაძრის მშენებლობაც იმ ადგილას დაიწყეს, სადაც უფალმა მინიშნებით გამოუცხადა ღირს ანტონს.

ტაძარი აშენდა, ღირსმა ანტონმა და თეოდოსიმ შეისვენეს. მამა ნიკონის წინამძღვრობისას მღვიმის მონასტერში კონსტანტინოპოლიდან მხატვრები მოვიდნენ და ამბობდნენ, – ორი ბერი, ანტონი და თეოდოსი, შეგვითანხმდა აქაური ტაძრის მოხატვაზე. მცირე ეკლესია გვაჩვენეს, იმაზე მოვრიგდით და ეს ეკლესია ძალიან დიდია. ოქრო უკან დაიბრუნეთ, ჩვენ კი კონსტანტინოპოლში მივდივართო.

ეპისკოპოსი ანტონი (აბაშიძე)

მამა ნიკონმა ღირსი ანტონისა და თეოდოსის ხატები აჩვენა მათ. „ესენი იყვნენო“ – თქვეს მხატვრებმა. ესენი, შვილო, დიდი ხანია, გარდაიცვალნენ, მაგრამ გვწამს, სიკვდილის შემდეგაც შეგვეწევიანო. მხატვრებმა მოინანიეს თავიანთი საქციელი, დარჩნენ მონასტერში, ტაძარიც მოხატეს და ბერადაც აღიკვეცნენ მღვიმევის სავანეში. ასევე, სასწაულებრივად უპოვიათ დაკეტილ ტაძარში წმინდა ტრაპეზისთვის გამზადებული ქვის ფილა. ათონიდან გამოხმობილი წმინდა ანტონის მიერ კიევში დაარსებულმა მონასტერმა განამრავლა სლავთა მიწაზე ბერმონაზვნობის მსურველნი. კიევის მღვიმევის მამათა მონასტერი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მესამე წილხვედრ ადგილად მიიჩნევა.

უამრავი ამბის გახსენება შეიძლება ღვთისმშობელზე და მის წილხვედრ ადგილებზე. საგულისხმო ის არის, რომ მისი სამგზის წილხვედრი ქვეყანა მხოლოდ ივერიაა...

გაუწყრა უკრაინას ღვთისმშობელი...

არ გაგვიწყრეს ჩვენც...

შეგვიწყალოს ღვთისმშობელმა და გვიმფარველოს!..

მაკა ჯაყელი

ნამდვილი არჩევნები თუ ევროპული ფანდი სომხურად?

7 ივნისს სომხეთში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნიკოლ ფაშინიანის პარტიის „სამოქალაქო კონტრაქტმა“ გაიმარჯვა. დიდი ანგარიშით ვერა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა. რატომ დადო ასეთი შედეგი იმ პრემიერ-მინისტრის პარტიამ, რომელიც სომხეთს რუსეთთან დაპირისპირებისკენ და ფაქტობრივად ომისკენ მიაქანებს? რომელმაც, სომხთა ერთი ნაწილის აზრით, ყარაბახი დაკარგა და ოპოზიციას ბოლო მოუღო? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ „ბულკივით“ ფაშინიანმა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ოპოზიციის ექვსი ლიდერი დააპატიმრა და ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის აკრძალვაც უნდოდა, მაგრამ ბოლომდე ვეღარ გარისკა, შემდეგ 200-მდე „დამრღვევიც“ ზედ მიაყოლა. მიზეზად ქრთამის აღება, ფულის გათეთრება და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა სახელდება. კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც ჩვენთან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ეს არის ემიგრანტების მონაწილეობა არჩევნებში - სომეხმა ემიგრანტებმა, ვისაც ხმის მიცემა უნდოდათ, ნება იბოძეს და სამშობლოში დაბრუნდნენ. ეს კანონი საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე თვის წინ მიიღო და როგორც გითხარით, ე.წ. ოპოზიციაში დიდი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია. ეგ კი არა, ევროკავშირელმა ჩინოვნიკებმაც გააკეთეს განცხადებები, თურმე ეს არადემოკრატიულია. იგივე ევროჩინოვნიკები არც სომხეთში დაპატიმრებულ ოპოზიციონერებზე ლაპარაკობენ, პირიქით, ფაშინიანს რუსეთში აკრძალული პროდუქტების ზარალის სანაცვლოდ 400 მილიონ ევროს პირდებიან. შეიძლება ეს საარჩევნო ხრიკია და მოგვიანებით ეს უბრალოდ პროცენტიანი სესხი აღმოჩნდეს, მაგრამ ხომ პირდებიან?

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ასევე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს რუსეთიდან ასი ათასობით სომეხი აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას და პაშინიანის წინააღმდეგ ხმის მიცემას. თითქოს ისინი რუსეთის ხელისუფლებამ მსუყედ დააფინანსა. ფაშინიანმა განაცხადა, ვინც რუსეთიდან ამ მიზნით ჩამოვა, ყველას 2-თვიან ჯარში გავამწესებთო. მოკლედ, რაც წინასაარჩევნოდ და არჩევნების დღეს სომხეთში მოხდა, ასეთი რაღაცები ჩვენთან რომ მომხდარიყო, „დაუძინებელი მეგობრები“ რუსთაველზე აკაცუკებთან ერთად ჩამოგვიდგებოდნენ და ხელისუფლების დამხობას მოიწადინებდნენ.

„კონტრაქტი მოქალაქეებთან“ - რა პარტიაა, რა შექმნა ნიკოლ ფაშინიანმა თავის ქვეყანაში? ეს ე.წ. ევროპიული გაკვეთილი ჩვენ გავლილი გვაქვს, ოღონდ არა პარტიის სახით. გაიხსენეთ, ბოლოსწინა არჩევნებისას, ანუ 2012 წლამდელ არჩევნებზე „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ გააფორმა ხელშეკრულებები მოსახლეობასთან, სადაც ათასნაირი სისულელე ეწერა, მაგრამ ამ ფანდმა რაღაც შედეგი მაინც დადო.



რას უპირებს ფაშინიანი დაკავებულებს? როგორც ერევნიდან იტყობინებიან, უპირებს გასამართლებას და ქონების კონფისკაციას. დაკავებულია ერევნის ყოფილი მერი გაგიკ ბეგლარიანი. ის ერევანს 2009-2010 წლებში მართავდა, ხოლო შემდეგ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი იყო. ბრალად ედება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და ფულის გათეთრება. 2016 წლის ამბები ახლა გაუხსენეს. სომხეთის სამართალდამცავი ორგანოების განცხადებით, ბლოკ „ძლიერი სომხეთის“ წარმომადგენლებმა ამომრჩევლები მოისყიდეს და ისინიც დააპატიმრეს. ასევე დააკავეს გიუმრის ყოფილი მერი, სასულიერო პირები, შინაპატიმრობაში რჩება ფაშინიანის მთავარი მოწინააღმდეგე, მილიარდერი სამველ კარაპეტიანი, ხოლო მისი კიდევ ერთი გავლენიანი ოპონენტის, ყოფილი პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის პარტიის შტაბ-ბინაში უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს. ამაზე ფაშინიანი ასეთ განცხადებას აკეთებს: „რობერტ ქოჩარიანი ციხეში წავა, გაგიკ წარუკიანი ციხეში წავა, სამველ კარაპეტიანი ციხეში წავა“!

ფაშინიანს ჯერ ხელახლა თავის კაბინეტში ფეხი არ შეუდგამს და უკვე თამაშობს. ნუ გამოვრიცხავთ, იგი უნგრეთის ახალი პრემიერ-მინისტრის პეტერ მადიარის ტაქტიკით მოქმედებდეს, გამოიყენოს ევროჩინოვნიკების ე.წ. კეთილგანწყობა და შემდეგ ისევ მიუცუცქდეს პუტინს. ჩვენს მოუშორებელ „პლეზიდანს“, სალომე ზურაბიშვილს კიდევ ერთხელ ჩაუვარდება კოვზი ნაცარში - მისი მტკიცებით, 7 ივნისს საქართველოს ბედი სომხეთში წყდებოდა და დადებითად გადაწყდა. რამდენიმე თვის წინ უნგრეთში წყდებოდა, მანამდე მოლდოვაში გადაწყდა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, როგორ წყდებოდა და წყდება 2022 წლის თებერვლიდან საქართველოს ბედი უკრაინაში. მერე ესენი დგანან და ხსნებს ეძახიან მონებს.

იცით, რატომ თამაშობს ფაშინიანი? იგი სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებში დაძაბულობას ვერ ხედავს და ამაზე საუბარს ხელოვნურად მიიჩნევს:

„ვერ ვხედავ ვერანაირ დაძაბულობას, ეს ხელოვნური დაძაბულობაა. ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან ინსტიტუციურია და ურთიერთპატივისცემაზეა დაფუძნებული. სომხეთში მოქმედი ზოგიერთი ძალა ცდილობს დაძაბულობის შექმნას სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებში. ეს დაძაბულობა არ იქმნება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან“.

თუ ფაშინიანი არჩევნებამდე ევროკავშირში გაწევრიანებაზე ლაპარაკობდა და ამტკიცებდა, ჩვენი ხილი თუ ბოსტნეული ევროკავშირის ქვეყნებში გავა, რუსები თუ აკრძალავენ, მაგაზე საერთოდ არ ვდარდობთო, ახლა იძახის, რომ სომხეთი ევროკავშირში გასაწევრიანებლად ჯერ მზად არ არის. თუმცა აქვე ცდილობს, არც მწვადი დაწვას, არც შამფური.

პუტინს არ ახსენებს, ჯერ არ აწყობს, როგორც კი ზურგს მოიმაგრებს, ეგრევე ჩავარდება კრემლში, ამათთვის ყველაფერი დასაშვებია, ჩვენთვის - არა.

დღეის შედეგებით პაშინიანმა პარლამენტში 61 პარლამენტარი გაიყვანა.

რა ხდება სომხურ ოპოზიციაში? რას აცხადებენ დაპატიმრებულები და ჯერაც დაუპატიმრებლები?

„თუ ნიკოლ ფაშინიანი არ წავა, ეს ძალიან ცუდად დასრულდება“ - განაცხადა სომხეთის მეორე პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი აკაცუკური ე.წ. მედიასაშუალებები ფაშინიანის ყველა კონკურენტსა და მოწინააღმდეგეს პრორუსს ეძახიან. მათთვის ფაშინიანი არის პროევროპელი ლიდერი. კი, მაგრამ რანაირად არის პროევროპელი, როცა 2024-2025 წლებში 9 მაისს პუტინის გვერდით იჯდა წითელ მოედანზე? აბა, წარმოიდგინეთ, კობახიძე რომ მჯდარიყო პუტინის გვერდით და ამავე დროს საქართველო იყოს ევრაზიის კავშირის წევრი, რა მოხდებოდა? მეტიც, როგორც სააკაშვილის დროის ე.წ. დიპლომატი ვალერი ჩეჩელაშვილი აცხადებს, თურმე ნიკოლ ფაშინიანი ყალიბდება როგორც ისტორიული ფიგურა არამარტო სომხეთისთვის, არამედ სამხრეთ კავკასიისთვის. სასაცილო რაღაცებს ვისმენთ და ვკითხულობთ, ზოგს ჰგონია, ფაშინიანი პირველად მოდის ხელისუფლებაში და 4 წლის განმავლობაში არ მართავდა სომხეთს. რა იყო, რით ვეღარ ჩამოყალიბდა ისტორიულ პიროვნებად? ან ეს რა უბედურებაა, მთელ ევროპულ იმედს ფაშინიანზე რომ ამყარებენ? მოკლედ, აკაცუკურ აზროვნებას და ფანტაზიას საზღვრები საერთოდ არ გააჩნია. ერთი თვის წინ მადიარზე ამყარებდნენ იმედს, უნგრული წყალი უნდა გადმოგვსხმოდა... უფრო სწორად, აკაცუკებს უნდა გადასხმოდათ, ახლა სევანის წყალზე ოცნებობენ, ალბათ ამ დღეებში აქვე სადმე ბოთლებს აავსებენ, რუსთაველზე მიიტანენ და იწუწავებენ.

ამ დროს სომხეთს თავისი გასაჭირვებია, იქ არც თუ სახარბიელო მდგომარეობაა. მაგალითად, რობერტ ქოჩარიანი აცხადებს, რომ თუ ფაშინიანი არ წავა, სომხეთში ცუდი ამბები დატრიალდება. თუ ფაშინიანი განაგრძობს იმ გზას, რომელსაც ბოლო თვეების განმავლობაში მიუყვებოდა, რასაკვირველია, ცუდი ამბები დატრიალდება. ის, რასაც სომხეთის თავკაცი აკეთებს, ჩვენთვის ძალიან ნაცნობია. კინაღამ დამავიწყდა, სხვათა შორის, მან თავისი ქვეყნის პატრიარქიც გადაიკიდა, პირველ წრეზე მისი დაჭერა ვეღარ მოასწრო, ახლა ალბათ დაიჭერს და უცხოელი „მეგობრები“ თავებს ქვიშაში წარგავენ.

ბატონმა ნიკოლმა ანკესი ჩვენც გადმოგვიგდო - ჩვენაო, დაინტერესებული ვართ, რომ საქართველო ევროკავშირთან და აშშ-სთან შევარიგოთო. რა გვჭირს შესარიგებელი? ჩვენ ხომ არავის გავებუტეთ? ჩვენ ვითხოვთ ელემენტარულ პატივისცემას და ესენი მაინც განდიდების მანიით არიან შეპყრობილები, გვეუფროსებიან. აგერ, 11 ივნისს ვიზალიბერალიზაციის გაუქმების საკითხი გააქვთ კრებაზე, უნდა იმსჯელონ, უნდა გაგვიუქმონ თუ არა. ყოველ სულელურ რეზოლუციაში ქართველ ხალხზე ლაპარაკობენ, სიყვარულს გვიხსნიან და ახლა გაუქმებას აპირებენ. არა მგონია, ამჯერად რამე გადაწყვიტონ, მაგრამ როცა კრებაზე გააქვთ, ესე იგი მაინც ჩვენი დასჯა აქვთ უზურში.



მოკლედ, სომხეთში სიტუაცია ასე ლაგდება: ნიკოლ ფაშინიანს პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს. შესაბამისად, ის ვერ რიცხავს ყარაბახს სომხეთის შემადგენლობიდან, კონსტიტუციით ისევ რჩება მის ფარგლებში, რაც აზერბაიჯანთან ბოლომდე შერიგებას ხელს არ უწყობს. ეს ერთი და მეორეც - იმ პარტიების ლიდერები, რომლებიც პარლამენტში შედიან, ერთხმად აცხადებენ, რომ ეს არჩევნები არის გაყალბებული, იყო აგრესია, ძალმომრეობა, დაპატიმრებები და ფაშინიანი არის არალეგიტიმური. სხვათა შორის, არჩევნებს აკვირდებოდა დსთ-ს დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელმაც დადო დასკვნა, რომ სომხეთში არჩევნები ჩატარდა კანონის სრული დაცვით, არ ყოფილა დარღვევები. მთელ მსოფლიოს რომ ჟამკარი აქვს არეული, ამას ვხედავთ, მაგრამ ნეტავ ამ დსთ-ს ჯგუფს რა დაემართა, ხომ არ გადაუხადეს? ვნახოთ, დაველოდოთ, რაც მთავარია, ევროკავშირიდან უკვე გაკეთდა განცხადებები - მოუთმენლად ველოდებით, როდის ჩამოვალთ სომხეთშიო. ჩავლენ, კონფერენციებს გამართავენ და თან სომხებს დააბოლებენ, რომ მათი ქვეყანა აზიიდან ევროპამდეა გადაჭიმული, გარშემო ზღვა აკრავს და მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან ხიდს წარმოადგენს.

გელა ზედელაშვილი



წერეთელმა დაგვიბარა...

ერთი კვირაა, დავდივარ და დავღიღინობ: „წერეთელმა დაგვიბარააა... დაგვისხა, დაგვალევინა, გუნებაზე მოგვიყვანააა“. ერვანდა უკან დამდევს, ბანს მაძლევს: „ააააა“ და „ახტამარს“ მისხამს. ფანჯრიდან ნანულა გვიყვირის: აააა და ზმუკი თქვენ, თუ მღერიხართ, იმღერეთო. მეტი სიტყვები ამ სიმღერაში არ არის და რა ვიმღეროთ?

ორი დღე გვიყვირა ნანულიმ და მესამე დღეს სიმღერის დაწყებამდე შემოგვივარდა გარგარის არყითა და შიგნეულის კუპატით, ახლა თავიდან ბოლომდე იმღერეთ, თორემ დაგხოცავთო. ერვანდამ მოწყალე თვალით შეხედა და თავის მხრივ, შესჩივლა, მეც მაგას ვეობნები, მარამ არ მღერავს, მე კიდე სულაც არც გამიგიან ეგ სიმღერა და „ააა-ს“ იმიტომაც ვანბობო.

„წეეე-რეეე-თეეე-ლმა და-გვი-ბარააა“, – წამოვიწყე ისევ და ამედევნა ერვანდას „ააა“.

– ზურა, „ოსტატი და მარგარიტა“ დაგემართა? – შეფიქრიანდა ნანული, რომელსაც ისე სჯერა ჯადოების, როგორც იმ ჭეშმარიტებისა, რომ მაწონი თეთრია, ნახშირი კი შავი.

– ვინ ოსტატი, არმენა თუ აიგარამა? რა ვი, მაგათ ცოლებსა ჰქვიანთ მარგო... – შეიშმუშნა ერვანდა.

– „მასსოლიტი“, შე ლოთო, შენ! მთელი „მასსოლიტი“ მოჯადოებული რომ მღეროდა და ვერ ჩერდებოდნენ – ფილმი მაინც არ გინახავს? – დაჰკივლა ნანულიმ.

– არა, საიდან... – თვალები ააფახულა ერვანდამ.

– დაგ-ვი-სხა, და-გვა-ლე-ვინა, გუუ-ნე-ბაზე მოოო-გვი-ყვანააა... – გავაგრძელე იმავე ინტონაციით და საჩვენებელი თითიც შევმართე.

– ააა, – ბანი მომცა ერვანდამ და ისევ იკივლა ნანულიმ.

– რათა ყვირი, აგვყევი შენცა, „ააა“ უთხარი და ეგ არის, – წყნარად უთხრა ერვანდამ, ნანულისაც დაუდგა სირჩა და დაუსხა.

– ზურა, ჩქარა მითხარი, რომ მოჯადოებულები არა ხართ, თორემ თავს მოვიკლავ! – გამოსცა ბრძანება ნანულიმ და ისე უცბად გადაჰკრა, თვალის შევლება ვერ მოვასწარი.

– არ ვართ მოჯადოებულები, ამ რაჭული ხალხური სიმღერით შენ და შენს სექტას გიმღერით რაჭველი და სომეხი, – ვუთხარი აბსოლუტურად სერიოზული სახით.

– წერეთელი ვინ არის, აკაკი? – მიხვდა ნანული.

– დიახ, ქალბატონო.

– ზურაჯან, მეტროს რათ დაარქვეს „წერეთელი“, მე კიდევა მაგეებ ვერ ვიგებ. კაცი სადღაც სოფლელი იყო, მეტროსთან რა ესაქმებოდა, მისი გვარი რათა ჰქვიან? აგე, მეტრო „გოცირიძე“ სულაც რომ სწორეა, ინჟინერი კაცი იყო, მარამ წერეთელი რათა? ანაც კიდე სარაჯიშვილი – რა იყო, სანზონაში იმ მეტროშიდ მღერავდა? რუსთაველი ხო ვაბშემც – „დომ კინოსთან“ სწერამდა ლექსებსა... „სამგორი“ და „დელისი“, ანაც სულაც „300 არაგველი“ – ესენი კიდე მოჟნა, იქაა და ისინები კიდე, სადაც რომ არაგვზედ ომობდენ, იქნებ იქაც უომნიათ, – დაიწყო ერვანდამ მეტროს სადგურების დასახელებების განხილვა.

– ერვანდ, მოკეტე, რააა... ზურა, ამიხსენი, თორემ გავგიჟდები ამ თქვენს გაუთავებელ ზმუილზე, – კატეგორიულად მომთხოვა ნანულიმ „მოჯადოების“ ახსნა.

– აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ხომ გაგიგია? – ვკითხე ნანულის და თვალით გარგარის არაყზე მივანიშნე.

– დოკუმენტური ფილმიც ნანახი მაქვს, – მომიგო ნანულიმ და ჩამოასხა.

– ჰოდა, ნაცსექტას რომ გიხარიათ რაღაც, რუბიომ დაგვიბარაო, გიმღერით – რაც წერეთელმა რაჭველებს დაგვიბარა, ის დაგიბარათ რუბიომ, – განვუმარტე მარტივად, მაგრამ შევატყვე, რომ ვერ მიხვდა რა ვუთხარი – აკაკი წერეთლისა და მარკო რუბიოს ერთმანეთთან დაკავშირება ძნელი აღმოჩნდა.

– ზურაჯან, რა დაგიბარათ წერეთელმა? – დაინტერესდა ერვანდა.

– ჰო, რა დაგიბარათ? – აჰყვა ნანულიც.

– დაანებე თავი წერეთელს, რუბიომ რა დაგიბარათ, ის ხომ გაიგე? – მივმართე ნანულის.

– რუბიომ არაფერიც არ დაგვიბარა, იმ აფერისტმა ჯო უილსონმა ისევ ის „იმღერა“, რაც ერთხელ დაიზეპირა და ჩაიხვია. სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამერიკის ადმინისტრაციის ოფიციალურ პოზიციად არაფერი გაუჟღერებია და რუბიომ რა დაგვიბარა, მე რომ არ ვიცი? – აქეთ შემომიბრუნა შეკითხვა ნანულიმ.

– აბა, რა გიხარიათ ნაცსექტაში?

– მე არაფერიც არ მიხარია, პირიქით, გული მიღონდება. ეს მარკო რუბიოც ვერ არის! აფსუს, სათნო ბაიდენი... – ჯავრიან გულზე ისევ ჩამოგვისხა ნანულიმ „ახტამარი“ და „ხსოვნა იყოსო“, სიტყვა დაგვიგდო.

– მომკვდარა? – შეიცხადა ერვანდამ.

– პოლიტიკურად! – მოკლედ უპასუხა ნანულიმ და გადანთქა.

– რატომ ჩემი „ოცნების“ „ახტამარს“ ასხამ ნაცპოლიტიკურ ამერიკელ მკვდარზედ, გარგარის არაყი არ მიუვა? – გააპროტესტა ერვანდამ.

– მაცადე, კაცო, ერთი! მარკო რუბიო სანქციების, ულტიმატუმებისა და იზოლაციის ენით კი არ საუბრობდა, პირიქით, მისი პასუხიდან ჩანდა, რომ ვაშინგტონსა და თბილისს შორის დაიბადა სამუშაო დიალოგი. მსგავსი ლაპარაკი ბაიდენის დროს და მანამდეც, მოკლედ, ამერიკისგან, წარმოუდგენელი იყო. მაშინ გაბმით ისმოდა მხოლოდ მუქარები ურთიერთობების გაყინვასა და მწვავე კონფრონტაციაზე. ახლა კიდევ, რა, ამერიკული დიპლომატიის ხელმძღვანელი საჯაროდ განიხილავს არა საქართველოს დასჯის მექანიზმებს, არამედ ურთიერთობების ნორმალიზებისა და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენის შესაძლებლობას, – აქაქანდა აღშფოთებული ნანული.

– ზურაჯან, ამას ცოტაც კიდე დავალეინოთ და ვერა ზასულიჩად გაუშვათ თავის სექტაში, – თვალი ჩამიკრა ერვანდამ.

– ვერა ზასულიჩს და ჟანა დ’არკს მოგცემ მე შენ!.. ზურა, ის კი არ არის საქმე, აფერისტმა ჯო უილსონმა რა თქვა, არამედ ის არის მთავარი, რაც რუბიოს არ უთქვამს...

– ე, თუ არ უთქმია, მთავარი როგორად არი? – ალალად გაოცდა ერვანდა.

– მარკო რუბიოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმურობა და არც შეზღუდვები დაუანონსებია. არც ჩვენი მოთხოვნებისთვის დაუჭერია მხარი. მოკლედ, ევროკავშირისგან განსხვავებით, საქართველოს მოქმედი ხელისუფლება ვაშინგტონისთვის პოლიტიკური იზოლაციის ობიექტად კი არა, არამედ იმ პარტნიორად გამოისახა, რომელთანაც ამერიკის ადმინისტრაცია მიზანშეწონილად მიიჩნევს კარგ ურთიერთობას. ვისაც ჭკუა აქვს, რა უნდა გაუხარდეს? შენ კიდე მეუბნები, რუბიომ რომ რაღაც დაგიბარათ ნაცსექტას, იმიტომ გიმღერითო. დამცინი? არამხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობების ტრაექტორიის, არამედ მათი საქციელის შეცვლას შევძლებთო, – ეს რომ თქვა რუბიომ, ეს თუ ვინმეს იმის იმედს აძლევს, რომ „ბაიდენის ხანა“ დაბრუნდება, მე ვერაფერს ვუშველი, – ჩამომიყალიბა ნანულიმ.

– ნანულაჯან, მე მეგონა, ერთი „მასტერკა“ ტვინი არა გქონდა და შენ რამოტოლა ბაგაჟი გქონიან? – ახითხითდა ერვანდა და მოხვდა კიდეც შალაბანი.

– ჰო, ნანული, დაგცინით. ისეთი ზარ-ზეიმი ატეხა შენმა სექტამ, რუბიომ „ოცნების“ ხელისუფლება დატუქსაო, რომ კონკრეტულად ამ სიმღერის ხასიათზე დავდექი. თქვენ ხომ ყველა გადამთიელი პატრონი ანდერძივით გიბარებთ, რა უნდა გააკეთოთ და იმას აკეთებთ. ჰოდა, ახლა რუბიოს დაბარებული „ანდერძი“ რომ უნდა აკეთოთ, მე მემღერება, – თანაგრძნობით გავუღიმე ნანულის.

– გასაგებია... წერეთელმა რაღა დაგიბარათ რაჭველებს, რაჭველ კობახიძეს და რაჭველ ბოჭორიშვილს ებარებოდეთო? – მიკბინა მე.

– რატომ მხოლოდ მაგ ორს, დარახველიძეც გვყავს... გოჩა ენუქიძეც, დიმიტრი ხუნდაძეც...

– რა იყო, რაჭულ დიქტატურას ამყარებთ? ისე, კი ეტყობა „ოცნებას“... ცოტა იმერეთი გაჩქარებთ, თორემ თქვენ სანამ აზრზე მოხვალთ, ვირი ხეზე ავა, – გაკაპასდა ნანული.

– ჰოდა, ის ვირი იმ ხიდან ჩამოვარდება და „იამაში“ ჩავარდება. აგე, კობახიძემ ხო გვითხრა, ჩვენა განა ოროსანები ვართ, რუბიომ და იმ ჯომ საშემოდგომო გამოგვაყოლონო, – ახითხითდა ერვანდა.

– ჰოდა, რა დაგიბარათ წერეთელმა-მეთქი?! – ხმას აუწია ნანულიმ.

– მიწა.

– დაგაყარეთ ორივეს და მთელ „ოცნებას“ მიწა! დაასხით, გულზე ვარ გახეთქილი ამ მარკო რუბიოს სიდინჯით. მშვენივრად ჩუმად იყო და რა საქართველო აუტყდა? ვის რა უხარია ფასონად, არ ვიცი, მაგრამ მე ვინ დამაგოიმებს, – ხანჯალივით ხტოდა გაგულისებული ნანული.

– შენი სექტა გაგოიმებს, ნანულაჯან! თუ რომ დაგოიმებულები არა ხართ, რათ დადიხართ ჯამჭურჭლის რახუნით ქუჩაშიდა, ჰამა, ინჩ ლავ ტიპა პროტესტის დღეებს ითვლით?

– ზურა, ამას მოვკლავ! – გამაფრთხილა ნანულიმ.

– მარკო რუბიოს გამო ჩვენს ერვანდას ნუ მოკლავ, კარგი ბიჭია, – გავუწიე ერვანდას შუამდგომლობა.

– აბა, რუბიოს ხომ ვერ მოვკლავ? – გაეცინა ნანულის.

– იმღერე, „დღეეეს რუბიომ და-გვი-ბარააა“, – შესთავაზა ერვანდამ და მეორე „შალაბანიც“ მოხვდა.

ზურა ოჭხერელი

გულით მოაზროვნე შემოქმედი

9 გვ.

რეზო ინანიშვილს იუმორის განსაცვიფრებელი გრძნობა ჰქონდა — კახური სტილი, რაც ულამაზესი ჩუქურთმიანი ლიტერატურული ქართულით იყო ნაქარგი. ახლა სამოცი წლის წინანდელ ამბავს გავიხსენებ: მწერალთა კავშირიდან მე და რეზო ზუგდიდში გაგვგზავნეს. მატარებელზე დაგვაგვიანდა და მეგრელმა მასპინძლებმა, ორივე დასაძინებლად ერთ ოთახში მოგვათავსეს. შუაღამისას ფაჩუნი მომესმა, ვხედავ, რეზო საწოლზე ზის, ასეთი ჩვევა მაქვს, სხვაგან ვერ ვიძინებო — მითხრა. ღამის სამი საათიდან მოყოლებული, ერთად ვისხედით საწოლზე და დილამდე ვსაუბრობდით.

ავთანდილ არაბული, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი: გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ პირველივე გამოქვეყნებული მოთხრობებიდან ბატონი რეზო ცოცხალ კლასიკოსად იქცა. არავის ეჭვი არ შეჰპარვია, რომ მისი მოთხრობები იმთავითვე ქართული ლიტერატურის უკვდავი ნაწარმოებები იყო, რითაც იგი შეიძლება მხოლოდ ანა კალანდაძეს შევადაროთ. ეს პოეტი ქალბატონი თავისი პირველივე ლექსებით დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში და ცოცხალ კლასიკოსს ამიტომაც ვუწოდებდით.

ბატონი რეზო კი ცოცხალ კლასიკოსად იქცა უპირველესად იმიტომ, რომ ის ცოცხალი ქართული ფესვებიდან მოდიოდა. მას ჰქონდა საოცარი გრძნობა, მარაგი, მშობლიური სიტყვის საგანძური და მერე საოცარი გრძნობა სიტყვის, რაზეც ვერანაირ შენიშვნას ვერ მისცემდი. მისი მოთხრობები ისეთივე ოსტატობით არის ნაგები, როგორც ძველი ქვა-კირით ნაშენები ციხე-ტაძრები. მას თავად ენასთან საოცარი მწერლისეული დამოკიდებულება ჰქონდა. მისი სიტყვათქმნადობა ნამდვილი შედევრები იყო.

ბადათერ არაბული, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი: რევაზ ინანიშვილის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება დიდი სიყვარულის დღედ იქცა, რომელმაც ყველანი გაგვაერთიანა. იგი დაპირისპირებული საქართველოს პერიოდში გარდაიცვალა და სწორედ ეს იყო ყველაზე დიდი ტკივილი — ისე უჩუმრად წავიდა, ქართველმა ერმა ვერ დაიტირა, ვერ გაიგო, ვინ დაკარგა და ვერ დააფასა, როგორც საჭირო იყო. დღევანდელი დღე მისი შემოქმედების უკვდავების გამოხატულებაა. დიდი მადლობა რეზო ინინიშვილს, რომელიც ზეციური საქართველოდან დაგვყურებს და თავისი ჩვეული ღიმილით გვიღიმის. მისი სული უკვდავია.

თამარ შველიძე

გლობალისტებს წარსული ომების შედეგები დაავიწყდათ

ანალიტიკოსები სულ უფრო ხშირად საუბრობენ მსოფლიოში პოლიტიკური მოწყობის ცვლილებებზე. თუმცა ძველი, გლობალური მმართველობის დათმობას ბევრი ქვეყნის მეთაური ეწინააღმდეგება. ამისთვის არაფერს ერიდებიან გლობალისტები, მათ შორის, საომარი მოქმედებების წარმოებასაც და თან დემოკრატებად, მშვიდობისმყოფელებად მოაქვთ თავი. სამწუხაროა ის გარემოებაც, რომ წარსული ომების შედეგები ავიწყდებათ. თუმცა, ვინ იცის, შესაძლოა, ახსოვთ კიდეც, მაგრამ სხვათა სიცოცხლეებს არაფრად აგდებენ და სისხლისღვრისკენ უბიძგებენ.

ერთი თვის წინ ფაშიზმზე გამარჯვების 81-ე წლისთავი აღინიშნა. ნაცისტური გერმანიის აგრესიისგან ბევრი ქვეყანა დაზარალდა, მათ შორის უკრაინა, სადაც ახლა დიდი ომია გაჩაღებული. აქვე შეგახსენებთ, რომ ბევრი უკრაინელი მსახურობდა ვერმახტში, ბევრი სამხედრო დანაშაულიც ჩაიდინეს თავიანთი ლიდერის, სტეფან ბანდერას მეთაურობით. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, უკრაინაში დღესაც ადიდებენ ბანდერელებს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ახლა ფაშიზმის განდიდება სახელისუფლო დონეზე ავიდა.

ორი კვირის წინ კიევის სამთავრობო სასაფლაოზე დიდი პატივით გადაასვენეს ნაცისტური გერმანიის მხარეს მებრძოლ უკრაინელთა ლიდერი ვინმე ანდრეი მელნიკი. დასაფლავებას კიევის ხელისუფლება სრული შემადგენლობით ესწრებოდა. პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მის საფლავზე მუხლიც კი მოიდრიკა. მოკლედ, ფაშისტი სამხედრო პატივით დაკრძალეს.

მომხდარმა აღაშფოთა პოლონელები, რომლებიც უკრაინაში რუსეთთან ომში დიდ მხარდაჭერას უცხადებენ, უამრავი დევნილი შეიფარეს. აღარაფერს ვამბობთ შეიარაღებით თუ სხვაგვარ დახმარებაზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლონეთის პრეზიდენტი კაროლ ნავროცკი ზელენსკისთვის პოლონეთის უმაღლესი ჯილდოს, თეთრი არწივის ორდენის ჩამორთმევის ინიციატივით გამოვიდა, რომლითაც ის ნავროცკის წინამორბედმა დააჯილდოვა. უკრაინის ელჩმა დემონსტრატიულად დააბრუნა აღნიშნული ორდენი.

ნაცისტის განდიდების გამო აგორებული სკანდალი პოლონეთში მწვავდება. ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი აღმოჩნდა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი სიბიგას მცდელობა, გაემართლებინა ნაცისტისთვის პატივის მიგება და უკრაინის არმიის ერთ-ერთი დანაყოფისთვის „უკრაინის ამბოხებულთა არმიის“ სახელის მინიჭება. მომხდარმა პოლონეთის ხელისუფლების გარდა, მოსახლეობაც აღაშფოთა და უკრაინელების მიმართ მტრულად განაწყო. მათი ნაწილი პოლონეთის მტრად უკრაინას მიიჩნევს და არა რუსეთს — წერენ სოცქსელებში.

საგულისხმოა, რომ მომხდარზე პოლონეთის გარდა პროტესტი არავის გამოუთქვამს. თუმცა, უკრაინელმა ნაცისტებმა ათეული ათასი პოლონელის გარდა, ებრაელები, ბოშები, ბელარუსი და უკრაინელი მშვიდობიანი მოსახლე გაანადგურეს, გადაწვეს სოფლები მოსახლეობასთან ერთად. ევროკავშირი კი ნაციზმის წახალისებაზე დუმს.

უნგრეთის ახალი პრემიერ-მინისტრი პეტერ მადიარი დათანხმდა, მხარი დაუჭიროს ევროკავშირის მიერ უკრაინისთვის კრედიტის გადაცემას გარკვეული პირობების გათვალისწინების შემთხვევაში. ორშაბათს დაგეგმილი იყო ზელენსკის ვიზიტი უნგრეთში, სადაც

პეტერ მადიარს უნდა შეხვედროდა, მაგრამ მისი ჩასვლა ბუდაპეშტში გადაიდო. უნგრეთიდან გავრცელებული ინფორმაციით, მხარეებმა ვერ შეძლეს შეთანხმება. თუმცა, მადიარმა ზელენსკისთან შეხვედრაზე მზადყოფნა გამოთქვა. ვიზიტის გადადების კონკრეტული მიზეზი არ დასახელებულა, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, უნგრეთი უკრაინისადმი არაკეთილგანწყობილია, თუნდაც ნავთობსადენის გადაკეტვის გამო.

სავარაუდოდ, უნგრეთში ჩაშლილი ვიზიტით ზელენსკი არ შეშფოთებულა, რადგან კვირას ლონდონში შეხვდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს კირ სტარმერს, გერმანიის კანცლერ ფრიდრიხ მერცს და საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს. შეხვედრის დეტალები არ გასაჯაროებულა, მაგრამ ძნელი გამოსაცნობი არ არის მათი საუბრის შინაარსი — უკრაინამ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძოს. საინტერესოა, როგორ გადაინაწილებენ უკრაინისთვის დახმარების ხარჯებს ევროპელები ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე. ამასთან, პენტაგონში უკვე ღიად საუბრობენ სხვადასხვა შეიარაღების ნაკლებობაზე, თან მოკავშირე ქვეყნებსაც შეუზღუდეს კონტრაქტით გაფორმებული სხვადასხვა სახის ტექნიკის მიწოდება. აქვე უნდა ითქვას, რომ სამივე ევროპული ქვეყანა უკრაინას ბრძოლის გაგრძელებისკენ უბიძგებს და საჯაროდ აცხადებენ, რომ სამშვიდობო მოლაპარაკების მაგიდასთან ევროპელებიც უნდა ისხდნენ.

დიალოგი კარგია და აუცილებელი, მაგრამ აქ ერთი მთავარი ნიუანსია — სამივე ქვეყნის მეთაურების რეიტინგები საკუთარ ქვეყნებში კატასტროფულად დაბალია. მერცისა და სტარმერის შემცვლელებს, ოპონენტებთან ერთად, მათი თანაპარტიელებიც ეძებენ. მაკრონის საპრეზიდენტო ვადა გაისად იწურება, ამიტომ მის გადადგომაზე ნაკლებად საუბრობენ.

გასულ კვირას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭოს დროებითი წევრი ქვეყნების არჩევნები ჩატარდა. გერმანიამ ბარიერი ვერ გადალახა და 7-ჯერ ზედიზედ ამ ორგანიზაციის წევრობის შემდეგ მისი ადგილი ავსტრიამ დაიკავა. გარემოება დამაფიქრებელი უნდა იყოს მოქმედი ხელისუფლებისთვის და, საერთოდ, მათი პოლიტიკოსებისთვის.

შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ გასულ კვირას რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში გამართულ უკვე ტრადიციულ ეკონომიკურ ფორუმს, რომელშიც 130-ზე მეტი ქვეყნის 25 ათასი წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის აღსანიშნავია აშშ-ისა და გერმანიის დელეგაციების დასწრება. როგორც აღნიშნეს, გერმანიის 10 ათასზე მეტი ორგანიზაცია, მიუხედავად ე. წ. სანქციებისა, რუსეთთან თანამშრომლობას განაგრძობს.

რაც შეეხება აშშ-ის დელეგაციას, ის თითქმის სამთავრობო დონეზე იყო წარმოდგენილი, რომელსაც თეთრი სახლის და წარმომადგენლობითი პალატის ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე როდნი მიმს კუკი-უმცროსი ხელმძღვანელობდა. მას მასპინძლობას უშუალოდ რუსეთის სპეცწარმომადგენელი უცხოეთთან საინვესტიციო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებში კირილ დიმიტრიევი უწევდა. შედგა გრანდიოზული შეთანხმებაც — რუსეთის ჩუკოტკიდან აშშ-ის ალიასკამდე გაიყვანენ გვირაბს, რომლის მეშვეობითაც ორი უდიდესი ქვეყანა პირდაპირ დაუკავშირდება ერთმანეთს როგორც სარკინიგზო, ისე საავტომობილო მაგისტრალებით. როგორც ვარაუდობენ, მშენებლობას რვა წელზე ნაკლები დრო დასჭირდება.

ათწლეულების შემდეგ რუსეთში ვიზიტი განახორციელა ტანზანიის პრეზიდენტმა სამია სულუჰუ ჰასანმა. სავარაუდოდ, ორ ქვეყანას შორის შედგა შეთანხმება. თუმცა, სანკტ-პეტერბურგის სამიტის პარალელურად, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ფორუმში მონაწილეობას სწორედ ის ქვეყნები იღებდნენ, რომელთა ხელისუფლება რუსეთს, როგორც მტერს, ბლოკადას უცხადებდა. ახლა ცნობილი გახდა, რომ რუსეთში ათასზე მეტი გერმანული საწარმო განაგრძობს მოღვაწეობას.

ამასობაში, ჩვენს სამეზობლოში, სომხეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. ამჯერად შედეგებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ ფაქტია — მათი მომავალი ახლა გადაწყდება.

ამის გარდა, მსოფლიოში ბევრი ცხელი წერტილია, რომელთა ჩასაქრობად უამრავი წყალი და ბევრი სხვა საშუალებაა საჭირო.

გია ბურდული

ხალხს აქვს უფლება - იცოდეს...

(დასასრული. დასაწყისი „სგ“ N15)

1538 წელს ბელგიის ქალაქ ბრიუგეში მოქსოვილ გობელენზე, რომელიც ცნობილია სახელით „ზაფხულის ტრიუმფი“, გამოსახულია გამარჯვებული მონარქის ტახტზე ასვლა და ბავარიის ეროვნულ მუზეუმში ინახება. გობელენზე, გარდა ჩვეულებრივი საგნებისა და ადამიანებისა, გამოსახულია ამოუცნობი რამ. ერთი შეხედვით მისი აღმოჩენა მარტივი არ არის, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, ცაში რამდენიმე უცნაურ ობიექტს შეამჩნევთ, რომლებიც საეჭვოდ გამოიყურება — ისინი „მფრინავი თეფშების“ მსგავსია. როგორ და რატომ მოხვდა გობელენზეც ეს ამოუცნობი ობიექტები ?

დაისვა შეკითხვა: ამო-ს გამოსახვა, შიშველი რეალობა იყო თუ პოლიტიკური ან რელიგიური ხრიკი?

ძველ დროში, შესაძლოა, რელიგიურ ხრიკად ჩაეთვალათ, გნებავთ, პოლიტიკურ ხრიკად, მაგრამ ახლა ეს ორივე ვერსია აბსურდულად გამოიყურება.

ძველ ნახატებში აღმოჩენილი ამოუცნობი მფრინავი ობიექტები აბნევს ხალხს. ზოგიერთი ამ უცნაურ ობიექტებს გარკვეულ ღვთაებრივ ატრიბუტებს უკავშირებს, მიაჩნიათ, რომ ისინი სიმბოლოა იმისა, რომ ზეციური ძალები მხარს უჭერდნენ კონკრეტული მმართველის ძალაუფლებაში მოსვლას. ამ ვარაუდის არსებობაში მეცნიერები ხაზს უსვამენ მკაფიო პოლიტიკურ ქვეტექსტს. მხატვრები სპეციალურად ასახავდნენ საგნებს ცაში, რითაც აჩვენებდნენ, რომ მმართველს ღვთაებრივი მხარდაჭერა ჰქონდა; რომ მხატვრული დიზაინი იქცა სტრატეგიულ მანევრად, რომელიც იქმნებოდა იმისთვის, რომ ადამიანები მმართველის ძალაუფლების ლეგიტიმურობასა და მის ღვთაებრიობაში დაერწმუნებინა.

ჩნდება შეკითხვა: როდიდან მიიჩნეოდა დისკის ფორმის მფრინავი ობიექტები ღვთაებრივი ჩარევის სიმბოლოდ? და თუ ასეა, რატომ?

თუ იმ ეპოქის ხალხი მფრინავ თეფშებს ღვთაებრიობას უკავშირებდა, შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ისინი ცაში მსგავს ობიექტებს ხედავდნენ და მათ „ღვთაებრივ“ მოვლენებს უკავშირებდნენ?

ასეა თუ ისე, შუა საუკუნეების ხელოვნებაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ღვთაებრივი ნიშანი. ისინი გამოსახულია როგორც ღრუბლები სხივებით, ასევე, ადამიანებით, რომლებიც მცურავ ღრუბლებზე ან სხვა მფრინავ ობიექტებზე დგანან.

საკვირველი წინააღმდეგობრივი სიტუაციაა თვით მეცნიერებში, რაც მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ წარმოდგენა არ აქვთ, რაზეა საუბარი, მაგრამ რაღაც უნდა თქვან. სხვაგვარად როგორ აიხსნება ეს ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება?

ვინ „გვაკითხავს“, გაურკვევიათ, მაგრამ ჩვენთან რას ეძებენ ისინიო? — თუ არ არსებობენ, მიუხედავად არაერთი გამომსახველობითი ნიმუშისა, შეკითხვა რატომღა გაჩნდა?

ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან დაკავშირებით ყველაზე სახალისო ის არის, რომ აშშ რუსეთს აბრალებდა, მისი სამხედრო ტექნიკის სახეობააო და რუსეთი აშშ-ს, არადა, ხელოვნების ნიმუშები, რომლებზეც ეს ობიექტებია გამოსახული, იმ დროს არის შექმნილი, როდესაც არც აშშ არსებობდა და არც რუსეთი, ერთგან აბორიგენი მოსახლეობა დარბოდა მშვილდ-ისრით, მეორეგან საწმერთული რა იყო, ის არ იცოდნენ და ცაში ვინ აიჭრებოდა...



ვნახოთ კლასიფიკაცია, ვინ „გვაკითხავს“:

1. გრეები – პატარა, ნაცრისფერი კანი, დიდი შავი თვალები; ყველაზე ხშირად ნახვად უცხოელებად მიიჩნევენ.

2. რეპტილიანები – ქვეწარმავლების მსგავსები; გავრცელებულია თეორია, რომ კულისებიდან მართავენ ძალაუფლებას.

3. პლეიადელები – ადამიანებს ჰგვანან; მშვიდობიანები და ცნობიერების ამაღლებაზე არიან ორიენტირებული.

4. ნორდიკები – მაღალი, ღია ფერის თმა/თვალები; გამონაკლის შემთხვევებში, თანამშრომლობენ ადამიანებთან.

5. ინსექტოიდები – მწერის მსგავსები; კოლექტიური აზროვნებით და საკმაოდ ძლიერ ინტელექტით.

6. არქტურიანები – სულიერი და მაღალგანვითარებული; კოსმიური ჰარმონიის მცველებად ითვლებიან.

7. სირიანები – დაკავშირებულნი არიან უძველეს ცოდნასა და ტექნოლოგიებთან.

8. ზეტა რეტიკულიელები – გრეების უფრო მოწინავე ვარიანტი; განსაკუთრებული ინტერესი აქვთ გენეტიკისადმი.

9. ანუნაკები – უძველეს კულტურებში „ღმერთებად“ მოხსენიებულნი, რომლებიც, ზოგი თეორიით, დედამიწაზე დაბრუნებულები არიან.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელში ხელოვნური ინტელექტით შექმნილი უცნაური ფოტო გამოაქვეყნა, სადაც იგი ხელბორკილებიან უცხოპლანეტელთან ერთად არის გამოსახული. ფოტომ სოციალურ მედიაში დიდი აჟიოტაჟი და დაბნეულობა გამოიწვია. ნაწილი ფიქრობდა, რომ ეს უბრალოდ, სატირული მემე იყო, ნაწილი კი მას შესაძლო მინიშნებად აღიქვამდა უცხოპლანეტელებისა და UFO-ს თემებზე, რაზეც ბოლო პერიოდში აშშ-ში ინტერესმა იმატა. სოციალური ქსელების მომხმარებლები აქტიურად განიხილავდნენ, თუ რას გულისხმობდა ტრამპი ამ ვიზუალით. ზოგიერთმა ეს „არალეგალური უცხოპლანეტელის“ თემის ირონიულ გაგრძელებად მიიჩნია, სხვებმა კი შეთქმულების თეორიებთან და აშშ-ის საიდუმლო არქივებთან დააკავშირეს.

ბოლო დღეებში ტრამპმა AI-გენერირებული რამდენიმე სხვა უცნაური გამოსახულებაც გამოაქვეყნა, მათ შორის კოსმოსურ სადგურში, სამხედრო სცენებსა და „Space Force“-თან დაკავშირებული ვიზუალები.

რამდენიმე კვირის განმავლობაში პენტაგონმა UFO-ებთან დაკავშირებული ცალკეული ფაილები გამოაქვეყნა, რასაც საზოგადოების მხრიდან უდიდესი ინტერესი მოჰყვა — ვებგვერდს მილიარდზე მეტი ადამიანი ეწვია. ომის დეპარტამენტის განცხადებით, მალე კიდევ უფრო მეტი მასალა გასაჯაროვდება.

მეცნიერების ნაწილი დადასტურებულად აცხადებს, რომ არსებობს არამიწიერი ცივილიზაციის სულ მცირე 4 განსხვავებული სახეობა:

„ნაცრისფერები“ (Greys): კლასიკური უცხოპლანეტელები, როგორებსაც ხშირად ფილმებში ვხედავთ.

„ნორდიკები“ (Nordics): ჰგვანან ჩვეულებრივ ადამიანებს (მაგალითად, შვედებს), თუმცა სიმაღლეში დაახლოებით 2 მეტრზე მეტნი არიან.

„ინსექტოიდები“ (Insectoids): მწერის მსგავსი არსებები, რომლებიც ვიზუალურად ჩოქელას მოგვაგონებენ.

რეპტილოიდები (Reptilians): ხვლიკის მსგავსი, ქერცლიანი არსებები გრძელი კუდით.

ოთხივე სახეობის წარმომადგენლებს, ადამიანების მსგავსად, ორი ხელი და ორი ფეხი აქვთ.

ამ ინფორმაციის გავრცელებას ხელს უშლიან სპეცსამსახურები და გარკვეული გავლენიანი ჯგუფები (Deep state), რადგან ეს ყველაფერი ძალაუფლებასა და კონტროლს უკავშირდება.

ის, რომ არაერთი მეცნიერი და ინსაიდერი, რომელიც ამ თემაზე მუშაობდა, გაუჩინარდა ან გარდაიცვალა, ოფიციალურად გაცხადდა.

პენტაგონის მიერ გამოქვეყნებულ მასალა შეიცავს ამოუცნობი ობიექტების 20-ზე მეტი სამხედრო ვიდეოს, სახელმწიფო დეპარტამენტის ძველი დეპეშებს და NASA-ს ჩანაწერებს, ასევე, დაზვერვის ოფიცრის ანგარიშს დედამიწის თავზე მოძრავი „სუპერცხელი“ ბურთის შესახებ.

პენტაგონის მიერ გამოაქვეყნებულ გასაიდუმლოებულ დოკუმენტებში, სადაც ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ არის ჩანაწერი, საქართველოც არის ნახსენები.დოკუმენტში მოხსენიებულია 2001 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებული დიპლომატიური დეპეშა, რომელიც მოსკოვში მდებარე აშშ-ის საელჩოდან ვაშინგტონში გაიგზავნა. მასში აღწერილია რამდენიმე დღით ადრე საქართველოში, კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენები. დოკუმენტში აღწერილია 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოს თავზე ე. წ. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების „გამოჩენის შემთხვევა”.

ნათქვამია, რომ 2000 წლის 28-29 ოქტომბერს რუსულმა თვითმფრინავებმა დაბომბვები განახორციელეს ჩრდილო-აღმოსავლეთ აფხაზეთში — ეს ინფორმაცია პენტაგონს მიაწოდა აშშ-ის ელჩმა ალექსანდრ ვერშბოუმ, მაგრამ ეს შემთხვევა გაურკვეველი დარჩა, რადგან რუსეთის მხარე აბსურდულს უწოდებდა თვით ქმედებას და კატეგორიულად უარყოფდა რუსეთის ავიაციის მონაწილეობას რაიმე სახით და სულაც, რუსეთის თვითმფრინავების გამოჩენას სა-

16 გვ. →

ხალხს აქვს უფლება - იცოდეს...

15 გვ.

ქართველოს საჰაერო სივრცეში. აშშ-ის მხარე სკუპტიკურად იყო განწყობილი, თუმცა სხვა ახსნაც არ ჰქონდათ. საბოლოოდ, გამოითქვა ეჭვი, რომ შესაძლოა, „ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ყოფილიყო“. როგორც უკვე ითქვა, საქართველოში არაერთი ამო-მოვლენაა დაფიქსირებული, მაგრამ ახლა მე მაინტერესებს, ან რუსეთს, ან ამო-ს რატომ უნდა მიეტანა იერიში ჩრდილო-აღმოსავლეთ აფხაზეთზე? ერთი პასუხი მაქვს, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ და არ ვიტყვი. არადა, მგონია, რომ ასეა — ამო-ს ნამოქმედარია, ხოლო რატომ, ეს რუსეთის მხარემ დადასტურებულად, მე კი დაუდასტურებელი ეჭვით ვიცი...

ასეა თუ ისე, მოკლე საგაზეთო ვარიანტით, ვფიქრობ, მცირეოდენი სიახლე მაინც ვთქვით. ამდენად, ჩვენ ამით ვასრულებთ, პენტაგონი კი განაგრძობს ამო-სთან დაკავშირებული იმ ფაილების გამოქვეყნებას, ალბათ, რომელსაც მიზანშეწონილად თვლის, ჯეი დი ვენსს კი ჯერ ვერ შეუღწევია იმ გასაიდუმლოებულ ადგილებში, რომლებიც ამ საკითხებში არაკომპეტენტური პირებისთვის დახურულია...

მაკა ჯაყელი



გობელენი „ზაფხულის ტრიუმფი“

P.S. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ!

სხვა ცივილიზაცი(ები)ა, ნამდვილად არსებობს, მაგრამ პენტაგონის არქივების სავარაუდო „გამჟღავნების“ და საეჭვო უცხოპლანეტელების ვიდეოების შესახებ ატეხილი აჟიოტაჟი ბლეფია! რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ დახურულ ჯგუფს სრულებით არ სჭირდება გონზე მოსული ხალხთა მასები. მასებს აშორებენ სიმართლეს და ხდება ყურადღების გადატანა .

ხვალ გამოაცხადებენ „კოსმოსიდან მომდინარე გლობალურ საფრთხეს“ და პანიკაში მყოფი ბრბო მათთან მივა, რომ „დაცული იყოს“. ამ საფარქვეშ მათ შეუძლიათ აბსოლუტურად ყველაფრის გამართლება: სრული ციფრული კონტროლის გაშვება, კიდევ რამდენიმე ათასი თანამგზავრის განლაგება, სავარაუდოდ, „ორბიტის მონიტორინგისთვის“, მაგრამ, სინამდვილეში, დედამიწაზე თითოეული ჩვენგანის თვალყურის დევნებისთვის და ბიუჯეტიდან ტრილიონობით თანხის დახურულ კარს მიღმა გაფლანგვისთვის. ისინი, უბრალოდ, ქმნიან კონტროლირებად ილუზიას, რათა მატრიცა მაღალი სიხშირის დაძაბულობისა და შიშის მდგომარეობაში შეინარჩუნონ.

ძვირფასო მკითხველო, ლიტერატურის მოყვარულნო!

მიმდინარე წლის 17 ივნისს, 14 საათზე, მწერალთა კავშირის დარბაზში (მაჩაბლის ქ. №13) გაიმართება ალმანახ „ამერიმერის“ 2025 წლის ნომრის პრეზენტაცია. ალმანახი გამოიცა დროულად, 2025 წლის ნოემბერში, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო მისი წარდგენა დღემდე ვერ მოხერხდა.

ამჟამად მიმდინარეობს 2026 წლის საიუბილეო ნომრის გამოსაცემად მომზადება. ამიტომ ვთხოვ „ამერიმერის“ ყველა ავტორს, პროზაიკოსებს, პოეტებს, პუბლიცისტებს, სატირისა და იუმორის მოკალმეებს და ლიტერატურის მოყვარულებს მობრძანდნენ ალმანახის 2025 წლის ნომრის პრეზენტაციაზე.

2026 წელს ალმანახის ფურცლებზე მოხვედრის მსურველებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი შემოქმედების ელექტრონული ვერსიები, რომელთა შერჩევის შედეგად საუკეთესო ნაწარმოებები გამოქვეყნდება.

დიდი პატივისცემით,

ომარ გოცაძე
ალმანახ „ამერიმერის“ თანარედაქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორის მოადგილე: ბელა ზედელაშვილი 555 48-48-61
შემოქმედებითი ჯგუფი:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, მაკა ჯაყელი, ნინო დაუშვილი, თორნიკე ზედელაშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (დიზაინი), ბელა გველესიანი; ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოცემა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.